№ 96
პარასკევი, 10 ივნისი

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 96
პასკევი, 10 ივნისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„ივერია".
1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს
პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივნისიდან წლის დამლევამდის 5 მ. 50 კ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.
რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.
საფოსტო ადრესი: Тифлисъ Редакція газ. „Иверія".

8 ივნისს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

ალექსანდრე გიორგის ძე წულუკიძე,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **ელენე**, დედ-მამა **თავადი გრიგოლ სიმონის ძე** და **მარიამ ერმილეს ასული წულუკიძენი** და მამიდები **კნეინები ნინო ჩიქოვანისა** და **მარიამ დადიანისა**. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე.
დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 12 საათზე, დ. ხონში. სადაც გასვენებენ ქუთაისიდან იმავე დღეს, დილის 9 საათზე. (3—1)

8 ივნისს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

ალექსანდრე წულუკიძე,

რასაც განსვენებულის **ამხანაგები** აუწყებენ მეგობართა და ნაცნობთ.
დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 12 ივნისს, დ. ხონში, სადაც გაასვენებენ ქუთაისიდან იმავე დღეს, დილის 9 საათზე. (3—1)

ივნისის 12-ს „ბელ-ვიუს" ბაღში გაიმართება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

სეირნობა და ბაზარი

მიიღება შემოწირულება ბაზრისათვის „საზოგადოების" კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ჟ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ი. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 [illegible]ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11, მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჭაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 სათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპის გამარჯვება

გასაოცარი ამბავი მოხდა პატარა ნორვეგიაში: მკითხველს უკვე ეცოდინება დეპეშებიდან, რომ შვიდ ივნისს (ახალის სტილით) ნორვეგიის პარლამენტმა ერთხმად გადასწყვიტა შვეციისაგან სამუდამოდ განშორება და საკუთარ მეფის მოწვევა. ამნაირად, ირღვევა ძველი კავშირი და ჰენრიხ იბსენის სამშობლო სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ხდება. ევროპას კი ერთი ახალი სამეფო ემატება.

გასაოცარია ეს დადგენილება, მაგრამ არა მოულოდნელი მისთვის, ვინც თვალყურს ადევნებდა ჩრდილოეთში მომხდარ ამ უკანასკნელ წლების ამბებს. განშორების მიზეზთა გამოსარკვევად საჭიროა მოკლედ მაინც გადავავლოთ თვალი შვეცია-ნორვეგიის ისტორიულ და თანამედროვე განწყობილებას. ნორვეგია 1814 წ. დაუკავშირდა შვეციას. ეს კავშირი სავსებით თავისუფალ შეთანხმებაზე იყო დამყარებული. დაკავშირების დროს შემუშავებულ კანონმდებლობას საფუძვლად დაედო ნორვეგიის სრული ეროვნული დამოუკიდებლობა. კონსტიტუციის პირველი მუხლი გარკვევით ამბობს: ნორვეგია არის თავისუფალი, თვითმოქმედი და დამოუკიდებელი სამეფო. იგი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკაში. ნორვეგიას უნდა ჰქონოდა საკუთარი კანონმდებლობა, უნდა ჰყოლოდა საკუთარი მთავრობა, საკუთარი საფინანსო მმართველობა, საკუთარი მუდმივი ჯარი და ფლოტი. ორსავე დაკავშირებულ სახელმწიფოს ჰყავდა მხოლოდ ერთი საერთო მეფე; მათ აერთებდა საერთო დიპლომატია და საერთო საგარეო პოლიტიკა. მეფეს არა ჰქონდა უფლება ნორვეგიელ ხალხის წარმომადგენელთა დაუკითხავად დაეწყო ომი.

ამნაირად, შვეცია-ნორვეგიის კავშირს არა ჰქონია ავტონომიურ-ფედერალური ხასიათი. ფედერალურად დაკავშირებულ ერებს საერთო ჯარი და ფულის ჭრის საერთო სისტემა აქვთ; ომის გამოცხადებაც ფედერალურ საბჭოსაგანაა დამოკიდებული (გერმანიის ფედერალურ მონარქიაში მხოლოდ იმპერატორს შეუძლიან ომის გამოცხადება). ნორვეგიას კი ყველაფერი საკუთარი ჰქონდა. იგი იყო სრულიად დამოუკიდებელი, საშინაო და საგარეო საქმეებშიაც. მეტი უფლება, რაიმე უპირატესობა არც ერთს მათგანს, არც შვეციასა და არც ნორვეგიას, არა ჰქონია. აი, ასეთ პირობით იყვნენ შეკავშირებულნი შვეცია და ნორვეგია. ამ შეთანხმებას საფუძვლად ედო მთავარი პრინციპი—სრული ეროვნული დამოუკიდებლობა და იგი დღემდის თითქმის სავსებით იყო დაცული. ეს ორი მეზობელი ერი ერთმანეთში მეგობრულად ცხოვრობდა. ამასთანავე მათ დაახლოვებას, საერთო პოლიტიკურ-ეკონომიურ ინტერესებს გარდა, ხელს უწყობდა ისეთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორებიც, როგორიც არის გეოგრაფიული მდებარეობა, ერთნაირი ზნე-ჩვეულებანი, მსგავსი ენა, ისტორიული ტრადიციები და სხ.

მაგრამ, მიუხედავად ამ ხელშემწყობ პირობისა, ამ ორ ნათესავ ერთა კავშირი მაინც უნდა დარღვეულიყო. როგორც ზემოთაა ნათქვამი, შვეცია-ნორვეგიის კავშირი არ წარმოადგენდა ავტონომიურ ფედერაციას; ამასთანავე, არც ერთს მათგანს არა ჰქონდა ზედმეტი უფლებანი მინიჭებული. საგარეო პოლიტიკაში ორივეს ერთნაირი გავლენა უნდა ჰქონოდა, რადგან, კონსტიტუციის თანახმად, მათში სრული უფლებრივი თანასწორობა იყო აღიარებული.

მაგრამ თანამედროვე სახელმწიფოს მთავარნა დამახასიათებელმა ეგოისტურმა მისწრაფებამ აქაც იჩინა თავი. შვეციას სწადდა, საგარეო საქმეების გაძღოლა გაეხადნა საკუთარ მონოპოლიად. საგარეო საქმეთა გადაწყვეტის დროს თუმცა ერთი ნორვეგიელი მინისტრიც ღებულობდა მონაწილეობას, მაგრამ მისი ხმა მინისტრთა საბჭოში de jacto უმნიშვნელო იყო, რადგან შვეციის მხრივ სამი (პირველად ორი) წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას ამავე საბჭოში. ამრიგად, ხმის უმეტესობით გადიოდა ყველა ის პროექტი, რომელსაც შვეციის მთავრობა წარმოადგენდა. ამასთანავე ორისავე ერის საგარეო ეკონომიური პოლიტიკა სხვადასხვა იყო: შვეცია, მაგ., საბაჟო სისტემის მომხრე იყო, ნორვეგია კი უფრო „თავისუფალ ვაჭრობას" ეტრფიალებოდა. ამნაირად ნორვეგიის ინტერესები იჩაგრებოდა, რადგან საგარეო პოლიტიკაში მისი ხმა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა" რჩებოდა ყოველთვის. ბოლოს ნორვეგიამ განიზრახა საკუთარ უფლების დაცვა და დაიწყო მეცადინეობა იმაზე, რომ საგარეო საქმეთა გაძღოლაშიაც ორივე ერი თანასწორობის პრინციპით ხელმძღვანელობდესო.

1891 წლიდან იწყება შესანიშნავი ეროვნული ბრძოლა ნორვეგიაში. პარლამენტმა (რომელსაც ნორვეგიელნი სტორტინგს უწოდებენ) აღძრა საკითხი საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლობის შესახებ და გადასწყვიტა, ნება მისცემოდა ნორვეგიას უცხოეთში საკუთარი ელჩები ჰყოლოდა. ეს დადგენილება მეფემ ოსკარ მეორემ არ დაამტკიცა.

ამ კონფლიქტმა მეფესა და სტორტინგს შორის ნორვეგიელ ხალხში დიდი უსიამოვნება გამოიწვია. ბევრჯერ სცადეს, ეს კითხვა მშვიდობიანად გადაეწყვიტათ, ბევრ საშუალებას მიმართეს, მაგრამ ვერავითარმა ცდამ ვერ გასჭრა. მეფე მაინც არ უთმობდა და პარლამენტის დადგენილებას არ ამტკიცებდა. უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში ნორვეგია მუდამ ამ კითხვას უნდებოდა: საკუთარ ელჩების დანიშვნასა და ეროვნულ დროშის გამოფენის უფლება—აუცილებელი შეიქმნა.

ეს ბრძოლა დასრულდა იმით, რომ პარლამენტმა ბოლოს ერთხმად დაადგინა: სამუდამოდ განშორდეს შვეციას და მეფე ოსკარი ნორვეგიის მეფედ აღარ იქმნეს აღიარებული.

რაკი მეფემ თვითონ დაარღვია შეთანხმების მთავარი პრინციპი—ნორვეგიის სრული დამოუკიდებლობა,—ამიტომ პარლამენტსაც ჰქონდა იურიდიული (და არა მარტო ზნეობრივი) უფლება, დაერღვია კავშირი.

ამ დადგენილებამ ნორვეგიის სატახტო ქალაქ ქრისტიანიაში და სხვაგანაც დიდი სიხარული გამოიწვია. როგორც გერმანული გაზეთები იუწყებიან, ქუჩები სავსეა ხალხით, რომელიც გატაცებით მღერის ბიერნსტიერნე ბიორნსონის-მიერ შედგენილ ნორვეგიელთა ეროვნულ სიმღერას, რომელიც შემდეგის სიტყვებით იწყება: „დიახ, ჩვენ გვიყვარს ჩვენი ქვეყანა"... ქუჩებში გამოფენილია ეროვნული დროშა, მღვდლები პარაკლისს იხდიან, ყველგან სიხარულია გამეფებული.

შვიდი ივნისი ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა. პარლამენტს ყოველ წუთს მოსდის ქვეყნის ყველა კუთხიდან ადრესები და დეპეშები, რომლებშიაც ნორვეგიელები განუსაზღვრელ მადლობასა და თანაგრძნობას უცხადებენ ხალხის წარმომადგენლებს იმისთვის, რომ მათ მტკიცედ დაიცვეს ნორვეგიის ეროვნული უფლება. შესანიშნავმა რომანისტმა ბიორნსონმა, რომელიც მაშინვე დანიიდან სამშობლოსაკენ გაემგზავრა, ასეთი დეპეშა გამოუგზავნა ვენის ერთ მეტად გავრცელებულ გაზეთს: „ეს დადგენილება მთელის ერის სურვილი იყო". ამ ეროვნულ დღესასწაულში ყველა, გნებავთ იგი თუ მემამულე, მღვდელი თუ ინტელიგენტი, მუშა თუ მექარხნე, მეცნიერი თუ სტუდენტი, პოლიციელი თუ სალდათი, მხურვალე და ერთნაირ მონაწილეობას იღებს. ეროვნულ ენტუზიაზმს საზღვარი არა აქვს.

ოსკარ მეორემ ეს დადგენილება არა სცნო კანონიერად და პარლამენტის მოქმედებას სარევოლუციო აქტი უწოდა. მოკლე ხანში მოწვეულ იქმნება შვეციის რიკსტაგი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს თავისი აზრი ამ ფაქტის შესახებ. რადგან ამ ორ ნათესავ ერთა შორის საუკეთესო განწყობილებაა, რადგან თვით მხცოვანი მეფე-პოეტი—ოსკარი—გულკეთილ კაცადაა ცნობილი, ამიტომ ყველას იმედი აქვს, რომ შვეცია მომხდარ ფაქტს შეურიგდება და განშორების წინაამდეგ არ გაილაშქრებს. ამნაირად, კონფლიქტი უომრად გადაწყდება და სკანდინავიაში პოლიტიკური ცხოვრება მშვიდობიანად და უფრო ჩქარის ნაბიჯით წინ წავა... ევროპის ლიბერალურ-დემოკრატიული პრესსა მომხდარ ისტორიულ ფაქტს სიამოვნებით აღნიშნავს და დასძენს, ეს მოსალოდნელიც იყო და მოსალოდნელია იქ, სადაც ერთი ერი მეორეზე გაბატონებასა ჰფიქრობს და სადაც ეროვნულის თვითგამორკვევის პრინციპი მტკიცედ არ არის დაცული. ნორვეგიელთა თამამმა და ენერგიულ მოქმედებამაც მოაზრე კაცობრიობას კვლავ დაანახვა ეროვნულ პრობლემის დიადი მნიშვნელობა, კვლავ დაამტკიცა, რომ არავითარს გარეგან ძალას არ შეუძლიან მოსპოს მისწრაფება ერთა დამოუკიდებელ ცხოვრებისადმი, რომ სხვადასხვა ერთა კავშირი და სოლიდარობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ეს კავშირი მოკავშირეთა სრულ უფლებრივ თანასწორობაზეა დამყარებული, თუ ერთა თვითგამორკვევას არავითარი ხიფათი არ მოელის ბოროტ ძალთაგან. ნორვეგიის მაგალითმა ერთხელ კიდევ დაანახვა „ბრძენ" პოლიტიკოსებს და დიპლომატებს, რომ ერთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა არა მარტო სასურველია, არამედ ისტორიულად აუცილებელიც, რომ ეროვნულ პრობლემის გადაფუჩეჩება დიპლომატთა არავითარ კონგრესს არ ძალუძს...

სახელოვანი ნორვეგიელი მეცნიერი ნანსენი, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო კავშირის მოსპობის საქმეში, სწერს ამ შემთხვევის გამო: „ჩვენ თავის-თავად გასაგებად მიგვაჩნია, რომ ნორვეგიისა და შვეციის ხალხი ერთად უნდა მოქმედებდნენ, და ვერ წარმოგვიდგენია, რომ შვეციას დაეცნენ და ჩვენ არ მივეშველოთ დასახმარებლად, რამდენადაც ეს ჩვენ შეგვეძლება. მაგრამ ერთი ძლიერი, წინააღმდეგობის გაწევის შემძლე სკანდინავია, შეიძლება, განვითარდეს მხოლოდ მაშინ, თუ თვითგამორკვევის უფლება და თავისუფალის შეთანხმების პრინციპები დაცული იქმნება. ისეთი კავშირი, რომელშიაც ერთ ერს მეორის დამოუკიდებლობის შესუსტება სწადია, არის და იქნება საშიში".

მომხდარი ამბავი განსაკუთრებით ავსტრია-უნგრეთში იწვევს დიდ აღტაცებას და ეს გარემოება ადვილი გასაგებია: ავსტრია-უნგრეთში მომქმედ პოლიტიკურ პარტიებს საუკეთესო საბუთი და იშვიათი ცოცხალი ფაქტი ეძლევათ ხელში იმის დასამტკიცებლად, რომ დუალიზმზე აღმოცენებულ სახელმწიფოს მომავალი არა აქვს (თუმცა ამის საუკეთესო ილლუსტრაციად თვით ავსტრია-უნგრეთი უნდა ჩაითვალოს, სადაც ეროვნული ბრძოლა ისე გამწვავდა, რომ სახელმწიფოს ნორმალური წინსვლა შეუძლებელი შეიქმნა).

ცნობილი მოღვაწე, დამოუკიდებელთა პარტიის პრეზიდენტი ფრანც კოშუტი სწერს ამ შემთხვევის გამო ვენის გაზეთში: „ნორვეგიაში მომხდარი ფაქტი გვასწავლის, რომ ცენტრალიზაციისაკენ მიმსწრაფი ძალა, თუ მას სისრულეში არ მოჰყავს კანონებში გატარებული უფლებანი, ამითი ამწვავებს და აძლიერებს ერთა შორის ინტერესებისა და გრძნობების განხეთქილებას; ეს ძალა აჯანყებას ჰქმნის და ერნი, რომელნიც ერთმანეთს უნდა დახმარებოდნენ, ერთმანეთის მტერნი ხდებიან... ვისურვოთ მაინც, რომ გაიგოს დიდმა და პატარამ ის ენა, რომლითაც განგება ნორვეგიაში მომხდარის ამბებით ელაპარაკება კაცობრიობას". (იხ. Neue Freie Presse № 14655).

ამნაირად შეხვდა ევროპის პროგრესიული საზოგადოებრივი აზრი ნორვეგიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას: ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპის გამარჯვებამ ყველა გულწრფელად გაახარა...

საინტერესოა, განთავისუფლებულ ნორვეგიას მართვა-გამგეობის რომელი ფორმა დაედება საფუძვლად. პარლამენტმა გადასწყვიტა—მოიწვიოს მეფედ ოსკარ მეორის შვილი. საეჭვოა, რომ მოწვეული პრინცი ამ წინადადებაზე დასთანხმდეს. თუ მან უარი განაცხადა, მაშინ ეჭვს გარეშეა, რომ ისედაც დემოკრატიული ნორვეგია დემოკრატიულ რესპუბლიკად იქმნება აღიარებული. რესპუბლიკანურ წყობილების მომხრეთა რიცხვი არა მცირეა ნორვეგიაში...

ივ. რამიშვილი.

15 ივნისი 1905 წ. ფრაიბურგი (ბადენი).

გორის სინდიკატის გამო

თავად-აზნაურთა გუშინდელ და გუშინწინდელ საგანგებო კრებაზე ერთი საინტერესო თხოვნა ირჩეოდა.

გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი კრებისაგან თხოულობდა სესხად 30,000 მან., ათის წლის ვადით, გორის სინდიკატისათვის.

ამ თხოვნამ დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია; თავად-აზნაურთა უმრავლესობა, როგორც მოსალოდნელი იყო, ხსენებულ თხოვნას თანაგრძნობით არ შეხვდა...

არც საკვირველია: სამუდამოდ გაჰქრა ის ბეჩავი დრო, როცა საკმარისი იყო რაიმე „საზოგადო" საქმისათვის შეწევნისა და სესხის თხოვნა, მეტადრე თუ ამ თხოვნას ვექილებად და ქომაგებად წარჩინებული პირნი ჰყავდათ, რომ კრებას საერთო ყვირილი მიეროთ: „მიეცეს, მიეცესო"!..

ახლა კი საზოგადოება და თვით თავადაზნაურობაც გამოფხიზლდა, გამოერკვია და მაღალ ფარდებისა და გრძნობიერ სიტყვების გაგონებაზე ჩვეულებრივ როდი ტოკავს. კრება თხოულობს უტყუარ საბუთებს თავისი უარისა თუ თანხმობის გამოსათქმელად.

სწორედ ეგ დასაბუთება და „მოტივები" აკლდა გორის სინდიკატის თხოვნას და აკი კრებამაც უარჰყო იგი.

გორის მაზრის მემამულეთა სინდიკატი, თუ არ ვცდებით, ათ წელიწადზე მეტია, რაც მოქმედებს ზემო-ქართლში და, მიუხედავად ამ შედარებით ხანგრძლივის მოქმედებისა, მის ზრდა-განვითარებას რაღაც ორგანიული დაბრკოლება ხელს უშლიდა და აფერხებდა.

იმთავითვე გორის სინდიკატის საქმენი და განსაკუთრებით მისი მართვა-გამგეობა ვერ იყო შესაფერ სიმაღლეზე.

ცოტაოდენი სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეტყო, როცა სათავეში დაუღალავი ივ. მაჩაბელი ჩადგა, მაგრამ ეს ხანა მეტად ხანმოკლე იყო. მას შემდეგ, რამდენადაც გვახსოვს, გამგეობა ათასში ერთხელ თუ გამოიჩენდა საჭირო უნარს, თორემ ისე კი სუსტობდა და საზოგადოდ მთელს მისს არსებობას რაღაც ბიუროკრატიული ელფერი ეკრა.

შარშან და შარშანწინ, როცა სამხედრო უწყების საინტენდანტომ ერთგვარი ტენდენცია გამოიჩინა,—თავისთვის საჭირო სურსათ-სანოვაგის ყიდვა-შეძენა მოინდომა ერობათა და სხვა დაწესებულებათა შუამავლობით, გორის სინდიკატსაც ხვდა წილად ერთი საქმე, რომელიც მან პირნათლიანად შეასრულა. ერთად-ერთი „საქმე" ამ ათის წლის განმავლობაში მხოლოდ ეს იყო და ეს.

სხვა საიმისო სინდიკატს არა გაურიგებია-რა... ამბობენ, ჩარჩები და სოფლის წურბელები შეღაგმაო, მაგრამ ეს მართალი არ უნდა იყოს, რადგან მის ახლო-მახლო სოფლებში „მდგომარეობის უფალნი" ისევ ჩარჩები არიან!..

კრებაზე გამოირკვა, რომ გორის სინდიკატს ამ რამდენისამე წლის წინად სათავად-აზნაურო ბანკისაგან მოკლე ვადის სესხად აუღია 12,000 მან., რომელიც თურმე, სინდიკატის გამგეობას დღემდე არ დაუბრუნებია...

ჩვენ ვერ გამოვუდგებით იმის გამოკვლევას, თუ რა და რა გარემოება უშლის სინდიკატს ფრთების გაშლასა და მოღონიერებას, ხოლო ეს კი ყველასთვის აშკარაა, რომ იგი სასურველ ნაყოფს ვერ იძლევა.

გორის სინდიკატი, როგორც კავშირი დაინტერესებულ პირთა, მეტად მცირე წევრიანია. წარმოიდგინეთ, ათი-თორმეტი წლის განმავლობაში წევრთა რაოდენობა 110-ს არ გასცილებია.

თავად-აზნაურთა რიცხვი იმდენად დიდია გორის მაზრაში, რომ სინდიკატს დღეს უნდა ჰყოლოდა არა ნაკლებ 1,200—1,500 წევრისა. ცხადია, სინდიკატს მცხოვრებთა შორის თანაგრძნობა ვერ მოუპოვებია.

უეჭველია, რაღაც ღრმა და ფარული მიზეზები არის, გარეგანი ანუ შინაგანი, და სწორედ ამით აიხსნება გუშინდელ კრებაზე ქარაგმებით და ორჩოფორჩხობით ლაპარაკი...

ყოველს მიუდგომელს კაცს უკვირდა და თან შეუძლებლად მიაჩნდა, რომ სინდიკატს ამ ხნის განმავლობაში იმდენი უნარი მაინც ვერ გამოეხსნა, რომ თავითვე მოევლო თავისათვის და ხელი არ გაეწვდინა კრებისთვის დახმარების სათხოვნელად.

რადა სინდიკატია ისეთი სინდიკატები, თუ მოგების მაგიერ ზარალს ხედავს,—გაიძახოდნენ კრებაზე,—და ამ ზარალის ასანაზღაურებლად ფულს თხოულობენ თავადაზნაურთაგან, როდესაც თვით თავად-აზნაურობას ათასი სხვა საერთო საჭიროება და მოთხოვნილება აქვსო...

მართლაც რიგიანად დაყენებული საალებ-მიცემო ამხანაგობა და ისიც შუამავლის ხასიათისა არამც და არამც არ უნდა ზარალობდეს, თუ კი საქმის წარმოება წეს-რიგით მიმდინარეობს,

სუბსიდია და სესხი, თუნდა დიდის ხნის ვადით, ვერ გამოაბრუნებს და ვერ მოაღონიერებს საქმეს, თუ კი შიგ საქმეში, მის ორგანიზაციაში, სიკვდილის ცელი ტრიალებს.

აი, ამაზე უნდა იფიქრონ სინდიკატის ყველა გულშემატკივრებმა და მის აღორძინების მოსურნეებმა.

ტასიაშვილი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ივნისი.

ვარშავა, 5 ივნისი. ჩენსტოხოვში საღამოთი პოლიცმეისტერს ყუმბარა ესროლეს და მძიმედ დასჭრეს.

მელბურნი, 7 ივნისი. რადგანაც დიდს ოკეანეზე მდგომარეობა შეიცვალა, ავსტრალიის ყველა პარტიები სთხოვენ მთავრობას, გაადიდოს მსროლელთა საზოგადოებებისთვის თოფების საყიდლად კრედიტი; ნავთსადგურების დასაცველად ზარბაზნებს სთხოვენ.

ფილადელფია, 7 ივნისი. საყოველთაო ზავის კავშირმა წინადადება მისცა კარნეგის, ექვსი მილიონი გირვანქა სტერლინგი შესწიროს კავშირის სასარგებლოდ და შეერთებულ შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის მონაწილეობით ეს კავშირი საერთაშორისოდ გამოაცხადოს.

პეტერბურგი. 1904 წლის, 12 დეკემბრის უმაღლესის ბრძანების მე-7-ე მუხლის შესახებ მსჯელობის დროს მინისტრთა კომიტეტმა განიხილა ის შემზღუდავი დადგენილობანა, რომლებიც პოლონეთის სამეფოში მოქმედობენ და დაადგინა: 1) ვარშავის სამოსწავლო ოლქის ყოველგვარ სასწავლებლებში რომის კათოლიკეთა სამღვთო სჯული უნდა ისწავლებოდეს მოსწავლეთა სამშობლო ენაზე, სამღვთო სჯულსა და სამშობლო ენას უნდა დაეთმოს შესაფერი რიცხვი გაკვეთილებისა, 2) ყველა პირველდაწყებითი სკოლებსა და აგრეთვე საშუალო სასწავლებლებში (იმ მოწაფეთ, რომლებიც კი მოისურვებენ) პოლონური ენა პოლონურ ენაზევე უნდა ისწავლებოდეს, 3) გაუქმდეს დადგენილებანი, რომლებიც შეეხება სასწავლებლის გარეშე პოლონელთა მოსწავლეებისაგან სამშობლო ენის ხმარების შევიწროებასა და სასწავლებლებში გარდა ფიზიკო-მათემატიკურის საგნების და ისტორიისა, დანარჩენ საგნების რუსულ ენაზე სწავლებას, 4) ნება მიეცეს მინისტრს, სთხოვოს სახელმწიფო საბჭოს: ა) რომ ერთ-კლასიან სასწავლებელსა და დანარჩენ პირველ დაწყებითი სასწავლებლების პირველ კლასებში არითმეტიკის სწავლების დროს ნება მიეცეთ რუსულთან ერთად იხმარონ პოლონურიც, ბ) რომ იმ სასწავლებლებში, რომელთაც უფლება არა აქვთ სახელმწიფო სასწავლებლებისა, ნება მიეცეთ, რუსულისა, გეოგრაფიისა და ისტორიისა, სხვა საგნების პოლონურ ენაზე სწავლებისა, გ) რომ ვარშავის უნივერსიტეტში დაარსდეს პოლონურის ენისა და სიტყვიერების პროფესურა, 5. გმინის სამმართველოებსა და რომის კათოლიკეთა სამრევლოებში თანამდებობის კაცთა სარევიზიოდ წიგნები და დოკუმენტები და აგრეთვე მიწერ-მოწერა უნდა იწერებოდეს და სწარმოებდეს რუსულ ენაზე. ვოიტებს კი ნება ეძლევათ თავის ხელ-ქვეითებს ადგილობრივ ენაზე სწერონ. 6) იმ პირთ, რომელთაც საგლეხო საქმეთა კომისარსა და საკრებულოების განაჩენისა და დადგენილების ასლი ეძლევათ—ნება მიეცეთ ადგილობრივ ენაზე დაწერილი ასლიც გამოიტანონ. 7 ნება მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს იზრუნოს, რომ პოლონეთის საგლეხო სამმართველოებში თანამდებობანა რუსულის ენის მცოდნეებთან ერთად მისცენ ხოლმე ისეთებსაც, რომელთაც მარტო პოლონური იციან, იმ ანგარიშით, რომ 1910 წლისათვის სამსახურში სულ ასეთები იყვნენ. 8, კერძო საზოგადოებათა საქმის წარმოების შესახებ დაადგინეს: ა) როდესაც კერძო საზოგადოებათა და მათ რწმუნებულთა მთავრობის დაწესებულებებთანა აქვთ საქმე, მიწერ-მოწერა უნდა სწარმოებდეს რუსულ ენაზე. ბ) თუ რომელიმე კერძო საზოგადოება მეორესა სთხოვს რუსულად, პასუხიც რუსულად უნდა მიეცეს. გ) კერძო საზოგადოებათა შინაურ საქმის წარმოების დროს, რუსულ ენასთან ერთად შეიძლება პოლონურის ხმარებაც, დ) მიწერ-მოწერა ორ კერძო საზოგადოებათა, თუ კაცთა შორის პოლონურადაც შეიძლება, 9) ლუბლინისა, სედლეცისა, ლომჟის და სუვალკის გუბერნიებში, სადაც მარტო რუსები და ლიტველები ცხოვრებენ—საქმის წარმოება მარტო რუსულად უნდა იყოს. 10) გაუქმდეს დებულება მინისტრთა კომიტეტისა პოლონეთის სამეფოს საერობო საკრედიტო საზოგადოებებში რუსულ ენაზე საქმის წარმოებას შესახებ. 11) პოლონეთის სამეფოს ათი გუბერნიებიდან ჩრდილო და სამხრეთ გუბერნიებსა და ბესარაბიაში საცხოვრებლად პოლონელთა მიწერა მხოლოდ გენერალ-გუბერნატორის ნებართვით შეიძლება. 12) მიენდოს ვარშავის გენერალ-გუბერნატორს, პოლონეთის სამეფოში საერობო დაწესებულებათა დაარსების დროს იხელმძღვანელოს 12 დეკემბრის უმაღლესის ბრძანების მე-2 პუნქტის ჩვენებით: 13) მიენდოს ვარშავის გენერალ-გუბერნატორს პროვინციების მხარეში საქალაქო დებულების შემოღების, შესახებ თავისი მოსაზრებანი წარმოადგინოს. 14) მიენდოს მიწად-მოქმედების მინისტრს შეიმუშაოს წესები სახელმწიფო მიწების გაყიდვის შესახებ იმ აზრით, რომ პოლონეთის გლეხებსაც სარწმუნოების განურჩევლად, ნება ჰქონდეთ ამ მიწების შეძენისა. 15) მიენდოს იუსტიციის მინისტრს წარადგინოს სახელმწიფო საბჭოში თავისი მოსაზრებანი: ა) პოლონეთის სამეფოში საპატიო მომრიგებელ მოსამართლეების თანამდებობისა შემოღებისა და ბ) ვარშავის სამოსამართლო პალატასთან ნაფიც ვექილთა საბჭოს დაარსების შესახებ.

მინისტრთა კომიტეტის ეს დადგენილებანი უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა.

ვაშინგტონი. დროებით ზავი არ ჩამოვარდება. რუზველტი ამაზე არაფერს სცდილობს.

სტოკჰოლმი, 8 ივნისი. რიგსტაგის არა-ჩვეულებრივი სესსია დღეს თვით მეფემ გახსნა. თავის სიტყვაში მეფემ პროტესტი გამოუცხადა ბრალდებას, ვითომც მას გამოეწვიოს ის ზომები, რომელსაც ნორვეგიამ კონსტიტუციის დარღვევის შემდეგ მიმართა. ის თავის სვინდისის დაგვარად იქცეოდა. მისი მოქმედება ყოველთვის ეთანხმებოდა კონსტიტუციას და ყოველთვის ორთავე ხალხის თანასწორ ბედნიერებისაკენ იყო ხოლმე მიმართული. რიგსტაგში წარდგენილი პროექტი სრულიად ამბობს, რომ უსამართლობას ძალათ წინააღუდგებით. უნია არა ღირს იმ მსხვერპლად, რომელსაც გამოიწვევს ნაძალადევი ზომები. ძალიან ცოტა ფასი ექნებოდა შვეციისთვის იმ უნიას, რომელიც ნორვეგიას ასეთს ყოფაში ჩააგდებდა. არა, დეე შვეციის ხალხმა სიფრთხილით იმოქმედოს. ღმერთმა შეინახოს მას ძალა და ერთობა, რომ შეივსოს ის, რასაც დაჰკარგავდა უნიის დარღვევით.

მაკარიევი, 8 ივნისი. გუშინ ბრანდტის ქარხანაში ოთხასი მუშა გაიფიცა. ხელფასის მომატება და სამუშაო დღის შემცირება მოითხოვეს.

სტოკჰოლმი, 8 ივნისი. მეფემ მინისტრთა საბჭოში სთქვა: „სა[illegible]ულებულ მეოფს, მძიმე ნაბიჯი გადავსდგა. ვაცხადებ, რომ ჩემის ხანგრძლივ მეფობის უმთავრესი მიზანი—ორის მონათესავე ერის კეთილდღეობა იყო. მე დიდად მიმძიმს კავშირის დარღვევა, იმ კავშირისა, რომელიც შეერთებულ სამეფოს დამოუკიდებლობასა და ბედნიერებას უზრუნველ-ჰყოფს. თუ ახლა თანახმა ვარ ასეთი ნაბიჯისა, მხოლოდ იმისთვის, რომ უდიდესი ვნება ავიცილოთ თავიდან. მე მრწამს, რომ მხოლოდ კავშირი, ერთმანეთში შეუთანხმებლად, არავითარ არსებით სარგებლობას არ მოუპოვებს შვეციასაო".

მადრიდი, 8 ივნისი. ესპანიასა და შვეიცარიას შორის დადებული ხელშეკრულობა კორტესებმა მოიწონეს და 204 ხმის უმეტესობით, 45 წინააღმდეგ, კაბინეტის მიმართ ნდობის გამოცხადება უარჰყვეს. ვილავერდე მეფესთან გაემგზავრა და კაბინეტის გადაყენება აუწყა. მეფე ალფონსმა შეიწყნარა.

ორენბურგი, 8 ივნისი. მუშათა გაფიცვა უკვე რამდენიმე დღეა გრძელდება. მოლაპარაკება. მშვიდობიანად, პოლიციის თანადასწრებით სწარმოებს.

ოდესა, 8 ივნისი. ხმა დადის, რომ პორტ-არტურის კომენდანტად ნამყოფი გენერალი სმირნოვი, რომელიც იაპონელებმა ტყვეობიდან განთავისუფლებიათ, ახლა რუსეთში მოდისო.

სინგაპური, 8 ივნისი. გორვინი, რომელიც რუსების ჯაშუშად იცნეს და რომელსაც სამის თვით დაპატიმრება გადაუწყვიტეს, კონდუქტორის კინგას ჩვენებით, გაამართლეს. გორვინი კინგას სახლში მდგარა.

სიმფეროპოლი, 8 ივნისი. ქალების შუამდგომლობა საარჩევნო უფლების მინიჭების შესახებ ერობის საგანგებო კრებამ არ შეიწყნარა. საგანგებო კრება დასრულდა. ხალხის წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევაზე პეტიციას ჰგზავნიან.

ვაშინგტონი, 8 ივნისი. ამერიკის მთავრობას იწვევენ იმ კონფერენციაში, რომელსაც საფრანგეთსა და მაროკოს შუა ატეხილ უთანხმოების გამორკვევა აქვს მინდობილი. ეს წინადადება მინისტრთა რჩევაში გეის თანადასწრებით ირჩეოდა. „ნიუ-იორკ-ჰერალდის" ცნობებით, იამაიკაში ირჩევა საკითხი ბრიტანიის ანტილის კუნძულების ამერიკის შტატებთან შეერთების შესახებ.

თეირანი, 8 ივნისი. მეშედიდან მოსულ ცნობებით, უკანასკნელ არეულობის დროს რუსეთის ქვეშევრდომთა ზარალი ასი-ათას მანათს აღემატება. ყველაზე ძალიან დაზარალდნენ ვაჭრები ოსიპოვი, რომელმაც მთელი თავისი საცხოვრებელი დაჰკარგა, და პოდგურსკი. ინგლისელებმა სამხრეთიდან კონტრაბანდის და იარაღის ოსმალეთისა და სპარსეთის საზღვრებისკენ გატანას მოუხშირეს.

კოვროვი, 8 ივნისი. კოვროვის თავად-აზნაურთა არა-ჩვეულებრივმა კრებამ დაადგინა, აუცილებლად საჭიროა ხალხის წარმომადგენლების მოწვევაო.

პეტერბურგი, 8 ივნისი. ოფიციალურად. უქაზი უმართებულეს სენატს. „საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ შორეული აღმოსავლეთი მთელის იმპერიის კანონმდებლობას და საზოგადო წესწყობილებას დავუქვემდებაროთ და უმაღლესი გამგეობაც გავათანასწოროთ. ამისათვის ვბრძანებთ, შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული კომიტეტი და მასთან არსებული კანცელარია გაუქმდეს, კანცელარიის მოხელენი შტატ გარედ დარჩნენ და საქმეები ჩვენის საკუთარ კანცელარიის არქივს გადაეცეს".

კოვნო, 8 ივნისი. ვილკომირის მაზრის სოფელ კოვარდრკაში მოჰკლეს ურიადნიკი მატულიევსკი.

ბუდაპეშტი, 8 ივნისი. პარლამენტში ახალს კაბინეტს სიცილი დააყარეს და უსტვინეს. ფეიერვერიმ მეფის რესკრიპტი გადასცა, რომლითაც იგი მინისტრ-პრეზიდენტად ინიშნებოდა. ამ რესკრიპტის წაკითხვის შემდეგ, ფეიერვერიმ მეორე რესკრიპტის წაკითხვაც მოითხოვა. საშინელი ხმაურობა ასტყდა. პრეზიდენტი მეორე რესკრიპტის წაკითხვას უკრძალავს, სანამ პალატა პირველს არ მიიღებს. ფეიერვერი გაასსენებს, რომ პალატა ძველთაგანვე ყოველთვის უსმენდა მეფეს, როცა მას სურდა პალატასთან ლაპარაკიო. პრეზიდენტმა კენჭი უყარა ამ საკითხს. უმრავლესობამ უარჰყო იგი. ამის გამო ფეიერვერმა და კაბინეტის დანარჩენმა წევრებმაც დარბაზი დასტოვეს. პალატამ კოშუტის წინადადება მიიღო და მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა. შემდეგ მეორე რესკრიპტიც წაიკითხეს, რომლითაც პალატის კრება 2 სექტემბრამდე უნდა გადაიდოს. ბანფიმ კოალიციის მხრივ განაცხადა, მხედველობაში ვიქონიოთ რესკრიპტი, ხოლო აღვნიშნოთ, რომ რესკრიპტით პალატის კრების გადადება კონსტიტუციას ეწინააღმდეგებაო. ბანფის წინადადება ერთხმად მიიღო პალატამ. ლიბერალები არ დასწრებიან. კრება დასრულდა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

8 ივნისი.

ლონდონი, 8 ივნისი. ჩინეთის რკინის გზის უკანასკნელი სადგური ჩანკ-იაკოუ უცხოელთა აღებ-მიცემობისათვის გაიხსნება, ხოლო კონტროლად ევროპიელი დაინიშნება. რუსეთს განზრახვა აქვს ჩანკ-იაკოუსა და რუსეთს შორის მონგოლეთზე რკინის გზა გაიყვანოს. ერთს იაპონელ სოვდაგარს სატყეო და სათევზაო კონცესიები მიეცა კუნძულ კველპარზე, მეორეს—კუნძული სახალინი დაუთმეს.

პეტერბურგი. ოფიციალური დეპეშა გენერალ ლინევიჩისა მის იმპერატორებით უდიდებულესობასთან. 6 ივნისი 1905 წ.: „დღეს, დილის 4 საათზე, რკინის გზის მარცხნივ, მტერმა იერიში მოიტანა; იაპონიის ძლიერმა ქვეითა ჯარმა სინლუჯუანი დაიჭირა. 4 ივნისს მოწინააღმდეგემ ლიაოჯუნპენის მიდამოებში ყველა პოზიციებიდან სამხრეთით დაიწია".

7 ივნისი 1905 წ.: 1) 6 ივნისის მოხსენებით, შუადღისას მალმაიკიდან ჩანტუფუსკენ მიმავალ გზაზე, მოწინააღმდეგემ უკან დაიხია. რკინის გზის მიდამოებში იაპონელები სადგურ შაუნმიაოძემდე მივიდნენ და შეჩერდნენ. ლიაოჯუნპენის მიდამოებში რკინის გზის მარჯვნივ ძველს პოზიციებს დაუბრუნდნენ. ღამის სამს საათზე იაპონიის ქვეითა ჯარმა, ბანლაშამონის მხარეს, იერიში მიიტანა. დილის 9 საათზე იერიში შეაჩერეს და 12 საათზე ისევ უკან დაიხიეს. მანდარინის მიდამოებში ღამის 3 საათზე იაპონელებმა უმთავრესად ჩვენს მარცხენა ფრთაზე მოიტანეს იერიში. დილის 9 საათზე ჩვენმა მოწინავე რაზმებმა უკან დაიხიეს. იაპონიის არტილერიამ ტყვიის სეტყვა დაგვაყარა. დილის 10 საათზე ჩვენმა რაზმებმა კვლავ უკან დაიხია. 12 საათზე იაპონელებმა სოფელი სიაოხოუში ჩაიგდეს ხელში, 2 საათზე—იაომალინი". 2) „დღეს მოწინააღმდეგემ მთელს ფრონტზე სამხრეთისაკენ დაიხია. ჩვენი წინანდელი პოზიციები დავიჭირეთ''.

ტოკიო, ივნისი. „დეილი ტელეგრაფის" დეპეშა იაპონელთა მთავარ ბანაკიდან მანჯურიაში: „3 ივნისს იენამპაოს მახლობლად კაზაკებს დიდი ზიანი მივაყენეთ და უკან დავახევინეთ, მაგრამ მერე ტერიტორიიდან ჯარი მოეშველათ. კაზაკების თავდასხმას მოელიან. ხაილუნჩენის მხარეს რუსებს სამი დივიზია მოემატათ. ამას წინად დატყვევებული რუსის ოფიცერი გვარწმუნებს,—რუსეთის ჯარში ასე ჰფიქრობენ, რომ იაპონელებს უმთავრესად ხარბინის დაჭერა და ვლადივოსტოკიდან რუსეთის ჯარის მოწყვეტა სურთო, ამისთვის რუსეთის უმთავრესი ძალა ჩანჩუნთან არის თავმოყრილიო. გირინი ნაკლებადაა გამაგრებული და დაცული. ლინევიჩის მთავარი ბინა ჩანჩუნთან არის, თუმცა ფინხუასკენაც მიდის ხოლმე. ლინევიჩი ძლიერ უყვარს ჯარსა. რუსეთის ჯარს ვაჟკაცური გულადობა და ბრძოლის ჟინი უცხოველდება. ალღუმობის დროს, ლინევიჩი საუბრობს ჯარის კაცებთან და ხელსაც კი ართმევს. რუსებმა არ იციან, ოიამა რომელის მხრიდან დაეცემა.

მოსკოვი, 8 ივნ. მოსკოვის გუბერნიის წინამძღოლმა დაბეჭდა ზავის მიმხრეთა აგიტაციის საწინააღმდეგო დეპეშა კუროპატკინისა და ყველა ქალაქის საბჭოებს, ერობებსა და სათავად-აზნაურო საზოგადოებებს დაურიგა.

ტოკიო, 8 ივნისი (დეილი-ტელეგრაფი). იაპონიის ვაჭრებმა კველპარტში თევზის დაჭერის კონცესსია მიიღეს. მეორე ამნაირი კონცესსია სახალინის მახლობლად მიიღეს. იოკოჰამაში გერმანიის ბანკი არსდება.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ხარჯი. „ნაშა ჟიზნ"-ის ანგარიშით, დღემდის რუსეთს ომი 1.600 მილიონ მანათად დაუჯდა, ე. ი. თვეში იხარჯებოდა 100 მილიონი მანათი. თუ ამას პორტ-არტურისა, ფლოტისა და რკინის გზის ფასსაც მივუმატებთ, რუსეთის ზარალი ამ 16 თვის განმავლობაში 3 მილიარდი მანათი ანუ 80 მილიარდი ფრანკი იქნება (ნ. ჟ.).

ბიუროკრატია ბრძოლის ველზე. ამ დღეებში დაიბეჭდა საინტერესო წიგნი „ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტის, ბ-ნ ტაბურნოსი—„სიმართლე ომის შესახებ". აი რამდენიმე საინტერესო ფაქტი ამ წიგნიდან: „შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკმა ალექსეევმა საკუთარი საუცხოვო მატარებელი გაიჩინა და ხარბინიდან ლიაოიანამდის და ლიაოიანიდან ხარბინამდის დასეირნობდა. ღამე სეირნობა არ უყვარდა, ამიტომ რომელისამე სადგურზე ჩერდებოდა და ღამეს იქ ათენებდა. ალექსეევს საშინლად ეჯავრებოდა მატარებლების სტვენა, ამიტომ იმ სადგურზე, საცა ალექსეევი გაჩერდებოდა, ყოველივე მიმოსვლა სწყდებოდა, სადგურზე არც ერთი მატარებელი არ მოდიოდა. მთელ გზაზე ჩერდებოდნენ მატარებლები, რომლითაც ბრძოლის ველზე ჯარი მიჰყავდათ და სამხედრო მასალა მიჰქონდათ. ბრძოლის ბედი რომელსამე ამ მატარებელზედაც რომ ყოფილიყო დამოკიდებული, სულ ერთია, ეს მატარებელი გზაში უნდა გაჩერებულიყო, რადგან სადგურზე ნამესტნიკს ეძინა... მისი შეწუხება სტვენით არ შეიძლებოდა. ალექსეევის მიხედვით საკუთარი მატარებლები კუროპატკინმა, შტაბის

ფელეტონი

მწყერაობა

(ამბავი).

როსტომ ნარიმანიძე აივანზე გამოვიდა.

— ბიჭო, თომია!—გასძახა მოურავს და ჩიბუხი გააბოლა.

— ბატონო!—გამოეხმაურა თომია და ბატონის წინ გაჩნდა.

— მიმინოს აჭამე!

— სამწყერეთ არ მიბრძანდებით, ბატონო?—გაიკვირვა თომიამ.—ავად ხომ არ ბრძანდებით?

— არა... დღეს ქარია და მეშინიან, მიმინო არ დამეკარგოს.—დაამშვიდა როსტომმა.

— თქვენი ნებაა, მარა, მწყერი კი დღეს ძაან ბევრი იქნება, წუხელის ცოტა წამოწვიმა და ელვაც იყო.—აგულიანებდა თომია.

— იმე, რა ვუყო ახლა, ერთი დღის მწყეროზიზა ხომ არ დავკარგავ მიმინოს. ძაღლებს აჭამე?

— კი ბატონო, ვაჭამე.

— ბიჭო, კაზბეკა მეიკოჰლებს რაცხას, რა დეემართა, თუ იცი?—მზრუნველობით დაეკითხა როსტომი და თომიას მიუბრუნდა.

თომია დაიბნა, არ იცოდა რა ეპასუხნა, როგორ მოეტყუებინა ბატონი.

— რა მოგახსენოთ, ბატონო... არაფერია!.. უთუოთ ბუზი შეუძვრებოდა... ყურში.

— რას სულელობ, ბიჭო?.. ფეხის ტკივილთან ბუზის შეძრომა რა შუაშია?!. ალბად დაარტყა ვინმემ, ან მდუღარე გადაასხა!.. ჯავრობდა როსტომ.

— აჰ! რავა გეკადრება, ბატონო!.. ვინ გაბედავდა? შენი რისხვა არ მომეცეს! ყველამ იცის, რომე კაზბეკა შვილს გირჩევნია და რავა იზამდა მაგას?!. არწმუნებდა თომია და თან პირს არიდებდა.

— შვილს კი არა, მამაჩემი ნუ წამიწყდება, თავს მირჩევნია. და, თომია, იცოდე, კაზბეკას რომ რამე მოუვიდეს, ან მე უნდა ვიყო და ან თქვენ!! იმე, რას მიპირობთ, თუ იცით? მაგისთანა ძაღლი ჰყავს ვინმეს ამ კუთხეში თუ? მაგი რომ მომიკვდეს, უნდა თავი მევიკლა!!. ჯავრობდა როსტომი და ჩიბუხს აბოლებდა.

— ძაღლი, ბატონი ნუ მომიკვდება, ნუ გამიწყრებით მაგის თქმიზა და, ისეთი მეგულება ეგერ, რომ ამ სოფელში კი არა, მთელ იმერეთში ან სამეგრელოში თუ მისთანა ვინმეს ეყოლება—მე—აჰ!.. თომიამ კისერი გაიწვადა.

— იმე, იმე!.. ჩემი კაზბეკასთანა მაინც არ იქნება!—თავმომწონეთ სთქვა როსტომმა.

— რავა გეკადრება?!. თქვენი რისხვა არ მომეცეს!.. იმ ძაღლში თქვენი კაზბეკასთანას ხუთს მისცემთ, მარა კი არ მოგცემენ...

— არა, თუ გიყვარდე!.. ვის ყავს ბიჭო?—როსტომს სიამოვნებით თვალები გაუბრწყინდა.

— იმე, ბატონი ნუ მომიკვდება, ქვეყანაზე რომ მწყერი არ იყოს—უქეველშიდ აგიფრენს... თუ მიაგნო კვალს—რო გეისალტება გველივით და გასრიალდება ამ წელთამდე ბალახში... მერე, ქე რო მიაგნებს, ასწევს ცალ ფეხს და გოუკეთებს „სტოიკას"...

— ააჰ... მამა ჩემი არ წამიწყდება, ,,სტოიკა'' ჩემი კაზბეკასთანა რავა ეცოდინება?!.

— ააჰ, კაია, ბატონო! იწყინა თომიამ,—ისიც ენახე და ისიც!.. მერე, რომ მოგიბრუნდება და შემოგხედავს,—უფრო აღტაცებით განაგრძო თომიამ,—თვალებით გეუბნება—მიბრძანე და მწყერს აგიფრენო... იმე, „კარტინკაა", ბატონო, „კარტინკა"!..

როსტომს მოთმინება გამოელია.

— ვის ყავს, ბიჭო, არ იტყვი? არ მოგვყიდის, თუ იცი?—ფეხი ფეხზე გადაიდო, თვალები შურით აევსო და სახე გაუბრწყინდა.

— ბევრი ვეხვეწე—მარა არ ქნა... სადაც ამოვირჩევ, იქინეი თუ მომიჭრის ორ ქცევა მიწას, მივართმევ, თუ არა და არა"-ო გააზვიადა თომაიმ და თან ბატონს ქვეშიდან გამომცდელის თვალით ახედა.

— იმე, ჩემო ბიძია, რომ მითხრას ახლა, ეზოში მომიჭერიო, სწორედ ვერ მოვუჭრი... ეძვირა როსტომს.

— ეზოში რავა გაბედავს ყაზახი—ჭალაშიო, ბატონო, სადაც ამევირჩიო—იქინეი მომიზომოსო.—თომას გული უფანცქალებდა. უნდოდა კიდევ უფრო ექო ძაღლი, მაგრამ როსტომმა აღარ დააცადა.

— ორი ქცევა, ბიჭო, ძაან ბევრია! უკმაყოფილოდ შეინძრა როსტომი.

— რავა გეკადრება, ბატონო! თქვენ ნუ მომიკვდებით, იმ ძაღლში ოთხიც რომ მისცეთ—ღირს... არ იცით რა ძაღლია...

— რა ფერია? როსტომი ცნობის მოყვარეობად გარდაიქცა.

— ურწყევი თეთრი... კუდის და ყურების ბოლო ყავის ფერი, ცხვირი და თვალები შავი, ზურგზე, კისრიდან კუდის ბოლომდე, წაბლის ფერი ზოლი გადაჭიმული. ბალანი გასურნული... უამბობდა თომია და თან ხელით ანიშნებდა.

— რა ჰქვიან?

— ყურშავა.

— ფუი!.. გააფურთხა როსტომმა.—მურტალი ყაზახი! ამისთანა ძაღლს—ყურშავა!..

— სახელი არაფერია, ბატონო, გადავაჩვევთ... ანუგეშა თომიამ. სიჩუმე ჩამოვარდა. როსტომი დაფიქრდა.

თომაია თვალებში მისჩერებოდა. ყოველ მის სულის მოძრაობას სახეზე კითხულობდა. როსტომს თანდათან სახე უბრწყინდებოდა. თომიას გულში უხაროდა. იყიდის და საშუაკაცოში ერთ ქცევა მიწას გავიკრავთ. როსტომმა ჩაახველა, ჩიბუხი გააბოლა და თომიას მიუბრუნდა.

— ხვალ მომიყვანეო! რა ვუყო!.. მივცემ. მარა, თომია, იცოდე, ზომაში არ მოგატყუოს. მაგენის მიწის საზომავი ბაწარი რიზინასავითაა—თუ თავისთვის იზომავს—გასჭიმავს, თუ სხვისთვის—დუნეთ მოუშვებს. თვალი ადევნე, თუ გიყვარდე; არ გაჭიმოს—დაარიგა მოურავი.—მარა, იცოდე, თუ ძაღლი არ მომეწონა, უკანვე მივცემ...

თომიას სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა.

— თუ თქვენი ნებაც იქნებაო, მოგახსენათ, მეჟევანია აქ არის და ბარემამ ქე დეემიჯნავ ჩემს სახელზეო.—სიტყვა გადაუკრა თომიამ.

— კარგი, დეიმიჯნოს, რა მენაღვლება!.. მართალა, ბიჭო,—არ იტყვი ვის ყავს?

— აგერ ჰყავს, ბატონო, ერთ ყაზახს... ქე გეიგებ, რომ მოგიყვანს მაშინ.—უთხრა თომიამ და კარებში გაჰქრა.

როსტომისათვის სულ ერთი იყო—გლეხს ჰყავს, აზნაურს, შინაურს თუ გარეულს. „ორი ქცევა ჭალა, სულ ცოტა, ოცი თუმანი მაინც ფასობს, მაგრამ რა უშავს, თუ ძაღლი კარგად ეძებს—ღირს. „მეჟევანია" *) აქ არის, ყაზახი თავის სახელზე დეიმიჯნავს და დასამტკიცებლად წასვლა-წამოსვლაზე ხარჯი აღარ დამჭირდება... ფიქრობდა როსტომი და სიამოვნებით ჩიბუხს აბოლებდა.

როსტომი წვრილფეხა მემამულედ ითვლებოდა თუმცა მამამ ბევრი ქონება დაუტოვა, მაგრამ უანგარიშო ცხოვრებამ სრულიად დასცარა. მუდამ იმის ფიქრში იყო—სხვაზე უკეთესი მიმინო, ძაღლი და ცხენი ჰყოლოდა. შინაურ ცხოვრებაში ყურ-დაგდებული იყო. ავადმყოფი ცოლი დაუდევრობით ადრევე გარდაეცვალა, ერთადერთი ვაჟი უსწავლელი დარჩა. როცა რამეს აჩუქებდა ან გაჰყიდდა—მუდამ იტყოდა ხოლმე: „ვითომ არ მქონია".

ერთხელ, მწყერაობის დროს, მიმინო გაექცა. ბევრი სდია, ეწვალა, ტანთ შემოიხია, კინაღამ მდინარეში დაიღრჩო, მაგრამ ვერას გახდა. გზაზე ერთ გლეხს წამოეწია და თავისი უბედურება შესჩივლა. გლეხმა დამცინავის კილოთი თანაგრძნობა გამოუცხადა და ანუგეშა: აგერ, იმ სოფელში, თქვენს ნათესავს მშვენიერი მიმინო ჰყავს, ფული უჭირს და უსათუოდ გაჰყიდისო"-ო. როსტომი გაექანა. ბევრი ხვეწნის შემდეგ, ნათესავი დაიყოლია და რამდენსამე მანათად მოურიგდა. მაგრამ როსტომს ფული არ დაურჩა. ნათესავი ნისიად არ ენდო. როსტომმა შემოიხსნა ძვირფასი ვერცხლის ქამარი და გირაოდ დაუტოვა. მიმინოს ცქერამ როსტომს ქამარი სრულებით დაავიწყა და გირაო გამყიდავს შერჩა.

როსტომს სხვაგვარი ცხოვრება და გასართობი ვერ წარმოედგინა. ვისაც მწყერაობა არ უყვარდა, დიაცს უძახდა. ხშირად თავის ვაჟს, ტიტიკოს, უშვერის სიტყვებით გალანძღავდა და უსაყვედურებდა: „შენ—გარუსდი, არფერი მამაპაპური არ გიყვარს"-ო. ტიტიკო სიბრალულის თვალით შეხედავდა ხოლმე.

„ხვალ მომიყვანს ყურშავას... რავაგა დეირევა ბესარიონი, რომ იმას ერთი ყავს და ისიც გლახა!.. დაიმიჯნოს ყაზახმა ის ადგილი, რა ვუყო ახლა .. ვითამ არ მქონია"... და სიამოვნებით იღიმებოდა. დიდხანს იჯდა ტკბილ ოცნებით გატაცებული.

უცბათ რაღაც მოაგონდა და გველნაკბენივით წამოვარდა.

— ბიჭო, თომაია!—გასძახა გაჯავრებით.

თომაიას ბატონის გაჯავრებულ ძახილზე ელდა ეცა, უთუოდ ყურშავა აღარ უნდა და ჭალა დამეღუპაო. მოაჯირს მიეყრდნო.

— გიორგა ნახე, ბიჭო? გაჯავრებით ჰკითხა როსტომმა.

თომია დამშვიდდა.

— ენახე, შენი ჭირიმე.

— მერე, არ მეტყვი—რა გითხრა?

— რაღა რაიო, ბატონო, ქვა ააგდო—თავი შეუშვირა... მე ადგილი ვიყიდე, ბატონს ფული ჩავაბარე—ხელწერილიც ხელში მიჭირავსო, რომელი კანონი წამართმევსო?!., მეორეჯელ ხომ არ ვიყიდიო?..

— ნოტარიუსით დამტკიცებული ქაღალდი მაქვსო?

— ლატრიუსიანი არაო, მარა, ბატონის ნაწერი ქაღალდი მაქვსო, რომ ადგილი მომყიდა და ფულიც სრულად მიიღოვო"...

თომია ცდილობდა, საქმე გაეზვიადებინა.

— ბიჭო, არ უთხარი, რაც დაგაბარე?—ცხარობდა როსტომ.

— ვუთხარი, შენი რისხვა არ მომეცემა, მარა ისეთ-ისეთები მომახალა, რომ იმის მოხსენებას ვერც კი გავბედავ... გესლიანად დაუმატა თომიამ და თავი ჩაღუნა.

— მაინც, რაიო?... მოუთმენლად ეკითხებოდა როსტომი.

თომია შეიშმუშნა, ხელები ქამარში ჩაიწყო და წაილუღლუღა:

— არ შემიძლია, ბატონო!

— მე ნუ მოგიკვდე, მითხარი-მეთქი! როსტომმა ფეხი გადმოიღო და თვალებ დაჭყეტილი მოურავს მისჩერებოდა.

— აბა თუ კაცია, შეასრულოს თავისი ნათქვამი—ხვალ მოვიდეს და ადგილი წამართვასო.

როსტომი გაბრაზებული წამოვარდა. თომიამ ულვაშებში ჩაიცინა. როსტომმა რამდენჯერმე აიარ-ჩაიარა, გაჩერდა თომას წინ და დაიყვირა:

— როგორ, ეს გაბედა, მაგ წუწკმა, მაგ მურტალმა? თუ ასეა—მისი ტალახიანი ფეხი დამკრას კისერზე, თუ მართლა არ წავართვა! ეს ულვაში არ მებას, თუ მაგის ცოლშვილი ულუკმა-პუროდ არ დავყარო!.. როსტომმა თავმომწონედ ულვაშებზე ხელი გადისვა. თომიას სიხარულით გული უფანცქალებდა.

— „მეჟევანია" რას ამბობს, ბიჭო? ჰკითხა როსტომმა.

— „მეჟევანიამ" რა ქნას, ბატონო? რასაც ეტყვით იმას ჩასწერს... მეტი აღარაფერი დაგვრჩენია—უნდა „დოვუშპოროთ" *)—აქეზებდა თომია.

— „შპორი" კი არა, სულ წავართმევ, მაგ წუწკსა, მაგას!.. კვეხულობდა როსტომი და აივანზე გაცხარებული დადიოდა.

როსტომ ნარიმანიძე წინააღმდეგობას დაჩვეული არ იყო და გიორგას ურჩობამ მეტის-მეტად გააბრაზა.

* * *

სოფელ კონში, იმ დროს, ადგილების დასამიჯნავად მიწის მზომელი ჩამოსულიყო. როსტომმა გაიგო, რომ ის გაყიდული ადგილები, რომელიც გლეხს კანონიერად დამტკიცებული არა

---

*) მიწის მზომავი.

*) „შპორი"—სპორ, დავის გამოცხადება, გამოდავება.

უფროსმა და კორპუსების უფროსებმაც გაიჩინეს, ასე რომ, ბოლოს ყველა სამგზავრო ვაგონები გენერლებმა მიითვისეს, აფიცრები და საზოგადოება კი საქონლის ვაგონებით დადიოდნენ. გენერლები ამ ვაგონებს არა სჯერდებოდნენ და მტკიცედ თხოულობდნენ, ვაგონები კარგად მოგვირთეთო. გრიპენბერგი ძალიან გაჯავრებული იყო მხოლოდ იმიტომ, რომ იმის ვაგონები ელექტრონით არ იყო განათებული და მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა სურვილი აუსრულეს. ერთხელ ასეთი ამბავი მოხდა: გრიპენბერგი ერთ ლიანდაგზე იდგა, კუროპატკინი—მეორეზე. მათ შორის სამიოდე ვერსი იყო და ნახევარ საათში შეიძლებოდა ეტლით გავლა. გრიპენბერგმა მოითხოვა, მატარებლით კუროპატკინთან წამიყვანეთო. გზის უფროსმა მოახსენა, რკინის გზით შორს მოვლა დაგჭირდებათ და მეტი დროც დაგეკარგებათ; გარდა ამისა, თქვენი მატარებელი რომ გავუშვათ, სხვა, ჯარით სავსე მატარებლები დაიგვიანებენო; მაგრამ გრიპენბერგმა მაინც თავისი გაიტანა: კუროპატკინთან მატარებლით წავიდა და ბრძოლის ველზე მიმავალი ჯარი შეაჩერა და დააგვიანა.

ჯარში ბევრი მანდილოსანი იყო; ამ „პეპლებსაც“ ჰქონდათ ნება ვაგონების დაბარებისა... ხშირად მომხდარა, რომ რკინის გზის უფროსებს ან ეს ქალები უნდა გაეგზავნათ იქ, სადაც ისინი მოისურვებდნენ, ან დაჭრილებით სავსე მატარებელი გაეშვათ. ბოლოს ძალა-უნებურად გამარჯვება ქალებს რჩებოდათ: ქალები მიდიოდნენ, ჯარი და იარაღი კი იგვიანებდა. ყველა გენერლებს სულთანის ჩვეულება აქვთ: ძალიან უყვართ დიდი ამალა. ანგარიშით კუროპატკინს აუარებელი ცხენოსანი ჯარი უნდა ჰყოლოდა, ნამდვილად კი ამის მესამედიც არ ჰყავდა, რადგან თითო გენერალი და პოლკოვნიკი ასსა და ორას ცხენოსანს თხოულობდა ამალად. არც ქვეითა ჯარს აცდენდნენ ცოტას. 250—300 ათას სალდათიდან გენერლებს 40 ათასი სალდათი ჰყავდათ მოსამსახურედ. ზოგი გენერლებს დასდევს, ზოგი—იმათ ცხენსა, ზოგი—ძროხას, ზოგი—„მანდილოსნებს“ და ზოგიც გენერლების აუარებელ ბარგი-ბარხანას.

ზემოხსენებული წიგნი სავსეა ამისთანა და უფრო უარეს ფაქტებით. ისე გამოდის, ვითომ ჯარი საბრძოლველად კი არ იყოს გაგზავნილი, არამედ იმისთვის, რომ გენერლებს მოუარონ და იმათი და „მანდილოსნების“ კაპრიზები აასრულონ. ამბობენ, რკინის გზა თვეში 40 ათას კაცზე მეტს ვერ გადაიყვანს ბრძოლის ველზეო. საკვირველი ის არის, როგორ გადაჰყავს 40 ათასი კაცი იმ დროს, როცა მთელი გზა თავის ვაგონებით გენერლებსა და ნამესტნიკებს უნდებათ? (რ. ვ.).

ზავი. ტოკიოდან პარიზის გაზეთებს ატყობინებენ: იაპონიის დიპლომატები ამბობენ, რუსეთმა იმიტომ დაიწყო ზავზე ლაპარაკი, რომ უნდა იაპონიის პირობები გაიგოს, მერე ეს პირობები გამოაცხადოს, უარჰყოს და თავის ხალხს უთხრას, ხომ ხედავთ, რომ რუსეთი ამ პირობებს ვერ მიიღებსო; სხვა გზა არ არის, უნდა ვიომოთო და ომს ისევ განაახლებს. რუსეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ ამას შემდეგ ხალხი დახმარებას აღმოუჩენს და აჯანყებას სხვა დროისთვის გადასდებსო (რ. ს.).

ზავზე მოსალაპარაკებლად რუსეთი, როგორც ამბობენ, დანიშნავს კასსინისა (ამერიკაშია ელჩად) და პროფესორს მარტენსს. რუსეთი თხოულობს, მოლაპარაკების დროს ომი შევწყვიტოთო; იაპონია არ თანხმდება და ამბობს, ომიც იყოს და მოლაპარაკებაცაო (რ. ს.). დღევანდელ დეპეშებიდანა სჩანს, რომ იაპონიას თავისი გაუტანია და დროებით მორიგებაზე უარი განუცხადებია. რუსეთი, მეტი გზა არ არის, უნდა დათანხმდეს.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ოზურგეთი, 10 ივნისი. **რადგანაც ნოქრების მოთხოვნილება არ იქმნა დაკმაყოფილებული, ამიტომ დღეს მათი გაფიცვა დაიწყო.**

ახალი ამბავი

როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ტფილისის **გუბერნატორად დაინიშნა** დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის სასახლის გამგე გენერალ-მაიორი **ბარონ რაუშ-ფონ-ტრაუბენბერგი.**

◆ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო თ-დ. დ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილს გამოსცეს ტფილისში რუსულ ენაზე ყოველ-დღიური **საზოგადო, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „Закавказская Правда“.** პასუხის-მგებელ რედაქტორად დამტკიცდა ნადვორნი სოვეტნიკი **მ. ვ. მაჩაბელი.** გაზეთი გაგზავნით წლიურად 7 მანათად ეღირება.

◆ 7 ივნისს ტფილისის **სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ჯარის-კაცების** გეურქ აივაზიანის და ლეიბ-გრენადერის პოლკის ჯარისკაცების მარტიროს პეტროსიანისა, ილიშე თანგულიანისა, მისაქ იგითხანიანისა, ტიგრან ნაჰაპეტიანისა და ალექსანდრე მანახიანისა, რომლებსაც ჯარის კაცებს შორის მავნებელ პროპაგანდის გავრცელებას აბრალებდნენ. საქმე ხალხის დაუსწრებლად გაირჩა. განაჩენი გამოიტანეს ღამის 1½ საათზე. აივაზიანსა და პეტროსიანს თითო წელიწადი ციხეში ჯდომა მიუსაჯეს, ხოლო დანარჩენ ბრალდებულებს—ოთხ-ოთხი თვე. ბრალდებულთ იცავდნენ ნაფიცი ვექილები: გრუზენბერგი, იოანისიანი და დოლუხანოვი.

◆ ტფილისიდან ერევანში გაემგზავრნენ ლონდონის პუბლიცისტი რაუსონი, ბერლინის პუბლიცისტი შუმანი და ვენის პუბლიცისტი რუნერი, რომელთაც **ერევნის გუბერნიაში მომხდარ უწესოების** მიზეზები უნდა გამოიკვლიონ („მშაკ“).

◆ კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის **დირექტორი ვ. ს. ოსეცკი,** ნამესტნიკის მინდობილობით, **მიემგზავრება ერევნის გუბერნიაში.**

◆ გაზეთ „ბაქო“-ში ვკითხულობთ: გაზეთი «მშაკი» სწერდა, **ზანგეზურის მაზრაში სომხებს თავს დაესხნენ და აიკლესო.** ჩვენ მივიღეთ პირონიანცისაგან დეპეშა, რომელიც გვატყობინებს, ამ მაზრაში სრული სიწყნარე და წესიერება სუფევსო.

◆ გუშინ-წინ, ღამის 12 საათზე, ანტონისა და ავჭალის ქუჩების კუთხეში, **სასიკვდილოდ დასჭრეს ორი პოლიციელი** ანტონ დარგინი და დიმიტრი ალეკინი. პირველი პოლიციელი დუქანს აკეტვინებდა მედუქნეს და იმ დროს დაახალა ვიღამაც რევოლვერი და მიიმალა. მეორე პოლიციელი დაიჭრა მიშველების დროს. ანტონ დარგინი გარდაიცვალა.

◆ გუშინ, 9 ივნისს, დილის 11 საათზე, კიროჩნის ქუჩაზე, ვაჭარ ოჰანეზოვის დუქანში შევიდა ვიღაც კაცი, **ოჰანეზოვს ესროლა რევოლვერი და სასიკვდილოდ დასჭრა.** დამნაშავე მიიმალა.

◆ ბაქოს გუბერნიის საპოლიციო რაზმის **ინსპექტორი პოდპოლკოვნიკი ა. არჯევანიძე** ტფილისში გადმოჰყავთ. მის მაგიერ დანიშნულია **კაპიტანი თავ. ვაჩნაძე** („ბაქო“).

◆ როგორც გუმბრიდან გვატყობინებენ, ოთხშაბათს, 8 ივნისს, დილის 10 საათზე და 50 წ., ერევნის გზაზე, მე-193 ვერსზე, საფოსტო მატარებელი № 74—75 გზის გაგანივრებისა გამო **ლიანდაგიდან გადავარდნილა.** დამტვრეულია 7 ვაგონი. ჯერ არ იციან, ხალხი დაშავდა თუ არა.

◆ გამოვიდა პირველი ნომერი **თათრულის გაზეთისა „ჰაიათი“.**

◆ **ტფილისში ჩამოვიდა სენატორი კუზმინსკი,** რომელიც ბაქოში გამოძიებას ახდენდა.

◆ კავკასიის ნამესტნიკის სამხედრო ნაწილის თანაშემწე **გენერალი** მალამა სამის კვირით მოგილიოვის გუბერნიაში, **თავის მამულში, გაემგზავრა.**

◆ როგორც ადმინისტრაციის მიერ შეგროვილ ცნობებიდანა სჩანს, **საფოსტო-სატელეგრაფო კანტორები ყოფილა:** ბაქოს გუბერნიაში—23, განჯისაში—26, ზაქათალისაში—2, ყარსისაში—11, ქუთაისისაში—19, ბათუმისაში—6, სოხუმისაში—5, ტფილისისაში—36, თერგისაში და ერევნისაში—21.

◆ ქ. ცხინვალიდან კორესპონდენტი გვწერს: ძლივს ვეღირსეთ კეთილს ექიმს კ. მ. ელიოზიშვილს. ჯერჯერობით მას ძლიერ ბევრი ჰყავს მადლიერი და უფრო კარგი იქნება, თუ ფერშლების თავხედობასაც ალაგმავს. 3-ს თიბათვეს საავადმყოფოში შეველი და ბილეთი მოვითხოვე, რომ ექიმს ვჩვენებოდი. ფერშალმა შემომიტია, განათლებული კაცი ხართ და არ იცით დროვო. შორეული ვარ და ვერ მოვასწარი მეთქი გუთხარი. უარი მითხრა, ხვალ მოდიო. ექიმის ნახვა მასდომდა, არც იმის ნება მომცეს და ცივად გამომაბრუნეს. კარგი იქნება, ბ-ნმა ელიოზიშვილმა ამას ყურადღება მიაქციოს“.

◆ ქვემო ხვითიდან (გორის მაზრა) გვატყობინებენ: ოთხშაბათს, 1-ს თიბათვეს, **შინდისის სამამასახლისოს ყრილობა ჰქონდა ქვემო-ხვითში,** რომელსაც თავმჯდომარეობდა გორის მაზრის მომრიგებელი შუამავალი თავ. მ. რ. ერისთავი. თავი მოიყარა შვიდმა სოფელმა. მომრიგებელმა შუამავალმა სთხოვა გლეხებს, ამოერჩიათ მამასახლისი, რადგანაც გუბერნატორმა დაავალაო. გლეხობამ უარი განუცხადა. ჩვენს საქმეებს ჩვენ [illegible] გააკეთებენო. გლეხობა, ზემო-ხვითისკენ წამოვიდნენ. ამის შემდეგ გლეხები დაირაზმნენ და სიმღერით სოფ. ზემო-ხვითისკენ გასწია.

◆ ოთხშაბათს, 1-ს ამ თვეს, ს. დიცში, ღამის 11 საათზე, ნიკო ზაქ. მანდიაშვილთან სამი შეიარაღებული ცხენოსანი მისულა, გარედ გამოუხმიათ და რევოლვერით მოუკლავთ. მიცვალებულს კუბოც არავინ გაუკეთა და არც ცხინვალში მიჰყიდეს. მისმა მამამ საბძელს ფიცრები აძრო და თავის შვილს კუბო თითონვე გაუკეთა. გლეხებს ამ ოჯახთან ბოიკოტი აქვთ გამოცხადებული.

◆ რედაქციამ მიიღო შემდეგი სომხური წიგნები: ,,მურჭ“, მაისი, № 5. 1905 წ. ,,არარატ“, მაისი № 5. 1905 წ. ამ ნომერს, სომხეთა კათოლიკოსის განკარგულებით, აქვს დამატება ხოლერის შესახებ, რომელიც სომხურს ენაზე უნდა წაიკითხონ სომხეთა ეკლესიებში. ,,სტ. ლისიციანის და ამხანაგობის“ გამოცემანი: **სომეხი პოეტები.**

ბ-ნ შანთისა. **მთის ქალი,** ფ. 15 კაპ. სიმღერები ფ. 15 კაპ.

ბ-ნ ჰ. თუმანიანისა. **ანუშ,** ფ. 15 კაპ. ლეგენდები, ფ. 15 კაპ. **სასუნელი დავითა,** ფ. 15 კ.

ბ-ნ დ. დემირჩიანისა. **მლოცავები და აშულის ზღაპარი.** ფ. 7 კაპ.

ვ. ვერესაევისა. **ერთის უმანკო კაცის საზარელი სიკვდილი.** თარგმანი ზ. ჰოვშიანისა. ფ. 6 კ.

ბ-ნ ს. შხიანისა. **ერთი სიკვდილი და გარყვნილი.** ფ. 7 კაპ.

კ. შატრიან. **მესაათეს მოგონებანი.** თარგ. შუშანიკ საყაგნიანისა. ფ. 8 კაპ.

ელენე მელიქ-ჰაიკაზიანისა. **ერთი მგზავრობა იაპონიაში.** ჩემი მოგონებანი და შთაბეჭდილებანი. ფ. 40 კაპ.

დ. ადაიანისა. **ზღაპრები**—1 წიგ. 15 კაპ., 2 წიგნი, ფ. 15 კაპ.

◆ სემინარიის რექტორის ნიკანდრის ეპისკოპოსად საკურთხებლად გამოწვეულ იქმნენ ეპისკოპოსები იმერეთისა, სოხუმისა, კავკავისა და გორისა. რექტორი ნიკანდრი უკვე ჩაირიცხა ქართლ-კახეთის სინოდალურ კანტორის შტატის წევრად და დაენიშნა ჯამაგირად წევრობისა 500 მ.

◆ ეს მეორე დღეა ჭავჭავაძის ქუჩიდან დაიკარგა უგზო-უკვლოდ ვასილ ივანის ძე რამიშვილი, 11 წლისა.

◆ გუშინ, 9 ივნისს, ქალაქის მოურავის მოადგილესთან იყვნენ ტფილისის ვაჭრების წარმომადგენელნი და სთხოვეს **გაენთავისუფლებინათ დაპატიმრებული ერთი ნოქარი.**

◆ 5 თიბათვეს, მთა-წმინდაში, ყიფიანის ქუჩაზე, ახმად-ბეგოვის სახლში, წვიმის დროს, ფანჯარაში მჯდარა მდგმური მეჩექმე, სახელად მიხაკა, რომელსაც მამა-დავითელები განთქმულ მკითხავად იცნობდნენ დაქუხების დროს ისე შეშინებია, რომ ფანჯარაზევე მომკვდარა.

◆ თიბათვის ხუთს, დილის ოთხ საათზე, მამადავითის მოედანზე, შესტაპალოვის სახლებში, შემდეგი ქურდობა მოხდა. სახლის პატრონს მოჰპარეს საკერავი მაშინა და ახალი პალტო ქალისა. გარდა იმისა მდგმურს ივანე კირკაშიძეს მოჰპარეს შარვალი, ჟილეტკა და ლურჯი ხალათის ჟილეტში იყო ვერცხლის საათი ვერცხლის ძეწკვით და სამი მანათი ფულად. ბოროტ-მოქმედი დაიჭირეს პოლიციის მესამე განყოფილებაში. მაგრამ მაშინის მეტი არა აღმოაჩნდა-რა. ერთი საათი დამწყვდეული ყოლოდათ, მაგრამ ქურდი რაღაცა მანქანებით, პოლიციიდან გაპარულა...

ქუთაისის ცხოვრება

5 ივნისს მოხდა ქუთაისის ცეცხლისაგან მამულების დამზღვევ საზოგადოების კრების გაგრძელება. საზოგადოების წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შემდეგ, კრებამ ერთხმად აარჩია საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრებად ისევ დ. ნ. აბდუშელიშვილი და ი. ი. პურადაშვილი. კითხვა გამგეობის ძველის წევრის ი. გ. ჩიმაკაძის დაჯილდოვების შესახებ მომავალ წლის საზოგადო კრებამდის გადაიდო.

◆ 5 ივნისს ხელმეორედ მოხდა ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა კრება ა. ბ. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით. კრებას უნდა აერჩია საზოგადოების გამგეობის წევრები და სხვადასხვა თანამდებობის პირნი. რადგან კრებას ახლაც ძლიერ ცოტა საზოგადოება დაესწრო, ამიტომ არჩევნები ამ წლის სექტემბრამდის გადაიდო. მოხდა მხოლოდ საზოგადოების მდივნის არჩევა. აირჩიეს დ. ნ. ავალიანი.

◆ ვიცე-გუბერნატორის განკარგულებით, ქალაქის თეატრი კიდევ დაკეტილია. ამის გამო 3 და 5 ივნისისათვის დანიშნული წარმოდგენები არ შესდგა.

◆ ინჟენერმა ნ. გ. ალიბეგოვმა უკვე დაასრულა ქალაქის ტელეფონის გამართვა. საცდელად კიდეც სინჯეს ტელეფონით ლაპარაკი და სრულად კმაყოფილნი დარჩნენ. ჯერჯერობით ტელეფონს 70-მდე ჰყავს აბონენტი. ტელეფონის მისაღებად ქალაქის მხრით ინიშნება კომისია.

◆ ამ დღეებში ქუთაისის ქალაქის მოურავმა მოსკოვის მოურავისაგან მიიღო დეპეშა, რომლითაც უკანასკნელი იწვევდა პირველს ქალაქის მოურავების კრებაზე დასასწრებლად, რომელიც უნდა მოხდეს მოსკოვში 15 ამ ივნისს. ქალაქის მოურავთან ერთად იწვევდნენ საბჭოს წარმომადგენლად ერთ-ერთს ხმოსანს. ამ დეპეშის გამო 6 ივნისს ქალაქის მოურავმა მიიწვია კერძო თათბირზე საბჭოს ხმოსნები, რომელთაც ერთხმად დაადგინეს, გაგზავნონ მოსკოვს ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე და ხმოსანი გ. ფ. ზდანოვიჩი, რომელნიც 7 ივნისს გაემგზავრნენ ქუთაისიდან. ქალაქის მოურავი პეტერბურგსაც შეივლის ქალაქის საქმეების გამო.

ისარა.

გუსტავ დაუდგარი

(ლეგენდა ე. განეიზერისა)

ზალცბურგის მაღალ ბორცვზე ძველებური კოშკია ამართული. უზარმაზარი, სქელი კედლები აქვს და ბნელი, ჭერ-დაბალი დარბაზები. სანახავად ბევრი მგზავრი ესტუმრება ხოლმე. მეც ვნახე ეს კოშკი. კოშკის დარაჯი წინ მიმიძღოდა და მიამბობდა:

— აი, აქ სამეჯლისო იყო. აქ—დამნაშავეთ ასამართლებდნენ. აქ—ამწყვდევდნენ ბატონის ურჩსა და მოწინააღმდეგეს...

კედელში უშველებელი რკინის ბჯე იყო დატანებული; აქედან სასტუმრო დარბაზში შეხვიდოდით. დარაჯმა კარი შეაღო, პატარა სენაკზე მიმითითა და ამიხსნა:

— აქ იყვნენ ხოლმე დამწყვდეულნი ათ წლობით...

ოთახი ისე მცირე იყო, რომ არც წოლა, არც დგომა არ შეიძლებოდა. ზევიდან პატარა სანათური ჰქონდა, საიდანაც წერტილის ოდენად მოსჩანდა ცა. კედელში ჩატანებული იყო რკინის რგოლი, ალბად, ტუსაღის მისაჯაჭვად. დაჟანგებული ხუნდებიც იქვე ეყარა.

— ამ აკლდამაში იყო დამწყვდეული მებატონის ძლიერ [illegible] და თაღლითობით მოიტყუილეს, ვითომ შენარიგებლად, და მუხანათობით შეამწყვდიეს აქ. მისი სახელი გუსტავ დაუდგარი იყო.

დღე-მუდამ ლხინი და მეჯლისი იმართებოდა მებატონის დარბაზში. სტუმრებმა კარგად იცოდნენ გუსტავის ამბავი; იცოდნენ, რომ სამეჯლისო დარბაზს იქით შეჯაჭვული გმინავდა იგი, იტანჯებოდა, მაგრამ არც კი მიიხედავდნენ ხოლმე მისკენ.

აქეს—შეიძლება ჩამოერთვას, ან დავა გამოეცხადოსო. მოიხმო თავისი თომია, მისცა ჯეროვანი დარიგება, ჩააბარა გლეხების სია და გაგზავნა. თომიასაც ეს უნდა. დაუარა ყველა გლეხებს და გამოუცხადა: „საცაა „მექევანია“ ჩვენს მამულშიაც ჩამოვა. ბატონი გაყიდული ადგილების „დაშპორვას“ გიპირებთ, თუ გინდათ—მოგარიგებთ. რაც მიგიციათ, ერთი იმდენი კიდევ მიართვით ბატონს, ცოტა გასამრჯელო მეც მომეცით და ადგილებს თქვენს სახელზე დაიმიჯნავთო“.

გლეხებს ელდა ეცათ. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ყველამ დაარწმუნა, თუ ნაყიდობა შინაურია და არა კანონიერი, შეუძლიან ადგილი წაგართვათო. ბოლოს მივიდნენ ბატონთან, დაიჩოქეს და სთხოვეს. მაგრამ როსტომმა გამოუცხადა: „ეს თომიას საქმეაო“ ისე ხელოვნურად გააბა თომაიამ ქსელი, რომ გლეხებს გასაქანი არსაით ჰქონდათ. ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, თომა დაიყოლიეს: ნახევარი ფასი ბატონს მიართვეს, ქცევაზე თითო თუმანი თომას და ადგილები დაიმიჯნეს. ბევრი ლანძღვა-გინება და წყევლა შეუთვალეს გლეხებმა ბატონ-ყმას, მაგრამ როსტომი ღიმილით იტყოდა ხოლმე: გლეხის წყევლა მე და თომიას გვასუქებს-ო

მხოლოდ გიორგა მონიაშვილი ურჩობდა. მასზე ვერავითარმა მუქარამ ვერ გასჭრა. გიორგი გულმართალი, პატიოსანი მუშა იყო, არცარა სხვისა უნდოდა, არცარას თავისას დაანებებდა. მეზობლებს, რომელთაც ხელმეორედ გადაიხადეს ადგილების ფასი, არცხვენდა და გონებაში აგდებდა: თითონაც გაღარიბდით, როსტომი და თომაიაც გარყვენით და სხვების საქმეც წაახდინეთო.

ამიტომ შესძულდა გიორგა თომიას და ბევრჯელ ბატონთანაც აბეზღა: „გიორგა გლეხებს „აბუნტებსო“. თომიას ორი თუმანი ეკარგებოდა და იმის მუცლის ტკივილი ჰქონდა. ისე დღე არ გაივლიდა—გიორგასთან მოციქული არ გაეგზავნა და არ დამუქრებოდა, მაგრამ გიორგი სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: „ერთხელ ვიყიდე—მეორედ, თომიას მუცლის საძღომად, ფულს არ გადავიხდიო. თომიას იმედი გადაუწყდა და გადაწყვიტა, როგორმე გიორგას ჯავრი ამოეყარა. და აკი მიაღწია კიდეც თავის მიზანს: ისედაც გულქვა და შეუბრალებელი როსტომი, ცოფებსა ჰყრიდა, აივანზე გაცხარებული დადიოდა და იძახოდა: ხვალვე დავაჭერინებო. თომია ულვაშებში იღიმებოდა—მართლაც როსტომმა გიორგის მამული თავის სახელზე გაამიჯვნინა.

მეორე დღეს გიორგიმ მოსაკლავად იწია ბატონზე, მაგრამ ხელებ-გაკრული მაზრის უფროსთან წაიყვანეს.

—

ორი კვირაა, რაც როსტომსა და თომაიას მშვიდობიანი ძილი არ ღირსებიათ. ფოთლის შრიალიც კი გულს უბრუნებდა ორივეს. ყოველ ღამე სხვადასხვა ბინას იცვლიდნენ—დღეს რომ ერთ ოთახში დაიძინებდნენ—ხვალ მეორეში, ზეგ მესამეში... მათი შიში საფუძვლიანიც იყო. გიორგა საპატიმროდან გამოეშვათ და ორივეს ემუქრებოდა. ახლა ორივე ბატონ-ყმა ეხვეწებოდნენ, ოღონდ შეგვირიგდი და, როგორც შენ გინდა, ისე გავათაოთ საქმეო, მაგრამ გიორგა უარზე იდგა. როსტომმა თავის დანაშაული და უსამართლობა იგრძნო, მაგრამ თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა, თავი მოეხარა. ისიც კარგად იცოდა, რომ გიორგა თავის სიტყვას, სიცოცხლედაც რომ დასჯდომოდა არ გადასთქვამდა. ბევრჯელ მიმართა ბოქაულს, მაზრის უფროსს, გუბერნატორს, რომ ეს და ეს კაცი სიკვდილს მიპირებს და დამიფარეთო, მაგრამ ყველასაგან ერთი და იგივე პასუხი მიიღო: „ჯერ ცოცხალი ხართ, და, თუ მოგკლავს, მაშინ დავსჯითო“. ვერაფერი სანუგეშო იყო მისთვის. ბოლოს გადაწყვიტა, თავი დაემდაბლებინა და გიორგას შერიგებოდა.

ერთ დღეს, ეკლესიის გალავანში, ნაწირევს ხალხი შეგროვილიყო და თავის ჭირ-ვარამზე ლაპარაკობდა. გიორგაც მათში ერია. დაინახა თუ არა როსტომი, მივიდა და ღიმილით მიესალმა.

— რაია, შე კაი კაცო, ასე უნდა მეზობლობა? სასიკვდილოთ უნდა ვდევდეთ ერთმანეთს?—და ხელი გაუწოდა.

გიორგამ ზიზღით შეხედა და ზუგი შეაქცია.

როსტომ სახტად დარჩა. სისხლი ყელში მოაწვა, მაგრამ ვერაფერი გაუბედა და შერცხვენილი გამობრუნდა.

იმ დღიდან გადასწყვიტა—ან მომკვდარიყო ან გიორგა თავიდან მოეშორებინა. ბევრი ფიქრისა და თათბირის შემდეგ ორივე—ბატონ-ყმამ—დაასკვნეს—გიორგა მაზრის უფროსთან ხელახლა დააბეზღონ როგორც „პროკამანდი“ *) და ხალხის ამბუნტებელი. თქმა და ქმნა ერთი იყო. როსტომ შეჯდა ჯორზე, ჰკრა დეზები და მახლობელ ქალაქში წათოხარიკდა. თომაიამ ჰიშკარი მიხურა და დამშვიდებული გაბრუნდა.

როსტომისას დიდი არეულობა იყო. სახლის მოაჯირები და კარ-ფანჯრები ძაძით შეემოსათ. შუა ოთახში ხალიჩა გადაფარებულ ტახტზე ორი კუბო რიგზე ეწყო. ჭირისუფლები ცხარე ცრემლით სტიროდნენ. კაზბეკა და ყურშავა კარებთან დაწოლილიყვნენ და ღმუოდნენ. მოშიებული მიმინო აღარ ისვენებდა და ხშირად ქანდარიდან გადმოფრინდებოდა ხოლმე. ეზოში ხალხი ირეოდა. კაცი და ქალი ერთმანეთში არეული ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ყველანი ერთსა და იმავე საგანზე ლაპარაკობდნენ.

— ასეა, ბატონო, კაცი რომ არ მეისვენებ, აღარ დადგები შენთვის, აგი ბოლო მოგელის! ამბობდა ერთი.

— იმე, ახირებულია შენი საქმე... ცხარობდა მეორე. მამაპაპიდან ასე მომდინარეობს. ჩვენს მამა-პაპას იქინეი მწყერებია და ჩვენც უნდა ვიმწყეროთ... აბა, თავი აღარ შევიქციოთ?..

— მაკვირებ, შენ ნუ მომიკვდე,—ჩაერია მესამე. რავა ლაპარაკობ? ერთი თხისკენ თქვი და მეორე მგლისკენო, ნათქვამია. შენ თავს იქცევ მარა გლეხებს არ კითხავ, რამდენი ოფლი ჩაუქცევია იმ ყანის მუშაობაში? შენ კი, დეიჯენ მიმინოს ხელზე, დაგლიჯინობ ამ ყანაში და ჩიტებს დასდევ... მეეწევის გული და გესვრის, აბა, რას იზამს?!..

— ვითომ ყანის პატრონმა მოკლა ორივე?

— აბა, ვინ იზამდა, შენი ჭირი შემეყაროს?.. ყაზახი იზამდა.

— მადლობა ღმერთს, შვილი მაინც დარჩა.—ნუგეშობდა მეორე.

— ვაი შენს მტერს, მაგას რომ შვილი დარჩა! არაფელი ჩვენი არ აცხია... მთელ მის სიცოცხლეს ამ წვირიან ყაზახებში ატარებს... დოუჯდება ამ მურტლებს და მთელი დღე წიგნს უკითხავს და ემუსაიფება. ვითამ ნახავ სადმე პატიოსან საზოგადოებაში თუ? სულ იმათთან გდია!

— ახალთაობის ყმაწვილი ბრძანდება.—დამცინავის კილოთი სთქვა ერთმა ჭაღარა-შერეულმა და ჩიბუხს მოუკიდა.—თქვენის კარგად ყოფნით, ნახავთ, თუ მაგას ხელებ გაკრულს კატორღაში არ გაგზავნიან. იმე, ქვეყანა რავა არ დეიქცევა, გუშინდელი ბაღანეი მე ჰკუას მასწავლის. მაგი მასწავლის ახლა, რავა მევექცე ჩემ გლეხს? აი, ბატონო, მაგალითი!—გაიშვირა სახლისაკენ ხელი.—მთელი მისი სიცოცხლე გლეხებზე გადაყოლილი იყო. მაგის ჭირს მიწაზე არ აგდებდნენ და აა... ჩოუჯდა ვინცხა თხრილში, ბეზა ტყვია და გადააგორა... მაგის შვილს რომ კითხო—სამართლიანად ქნაო... გეიგონეთ, რა დაატირა მამას?

— ჰო, რაი, რაი? შემოესივნენ აქეთ-იქიდან.

— „აი, სანამდი მიგიყვანა შენმა ცხოვრებამო... ვინც თქვენში მართალი იყოს—ღმერთმა განსაჯოსო“. ასე, თქვენ ნუ მომიკვდებით...

ასე საუბრობდნენ ჭირისუფალ-ნათესავნი როსტომისა და თომაის დასაფლავების დღეს.

—

ელენეს ერთი ბავშვი ხელში აეყვანა, მერე მხარზე შეესვა, ორიც უკან მისდევდა და მთის ბილიკზე გაჩქარებული მიდიოდა. საშინლად აღელვებული იყო. თან ტვირთი ამძიმებდა, თან ეჭვი არ ასვენებდა. მიაღწია დანიშნულ ადგილს, ჩამოსვა ბავშვები და დაქანცული მიწაზე დავარდა. ვანო და მარო დაქანცულნი აქედ-იქიდან მიუსხდნენ; უფროსები პეპლებს დასაჭერად გამოედევნენ.

— „იქნება ალექსამ მომატყუა?.. მცდის... მიღალატა?.. ფიქრობდა ელენე და გზისაკენ იყურებოდა.

უცბად მახლობელი ბუჩქი შეინძრა და ფოთლები გაშრიალდა...

— ელენე!

— გიორგი! შესძახეს ცოლქმარმა და ერთმანეთს მოეხვივნენ.

— ბაბა, ბაბა! ტიტინებდნენ ბავშვები და მამას მუხლებზე ეხვეოდნენ. გიორგას ხმა ველარ ამოეღო, თვალცრემლიანი ყველას სათითაოდ ჰკოცნიდა. ელენე ქვითინებდა. გიორგი კიდევ გადაეხვია ცოლს და ცრემლიანი თვალები დაუკოცნა.

— გიორგი, ეს ვინ ჩაიდინა?—დიდი სიჩუმის შემდეგ ჰკითხა ელენემ და როსტომის სახლზე ანიშნა.

— მე... უპასუხა ქმარმა და თავი ჩაჰკიდა.

ელენემ სასოწარკვეთილებით დაიგმინა და თავში ხელი იტხლიშა. იცოდა, რომ გიორგა სასამართლომ დამნაშავედ იცნო და გადასახლება გადაუწყვიტა, მერე გაიქცა და, ერთი თვეა, იქვე ყაჩაღათ იყო გავარდნილი. მაგრამ გიორგას გულკეთილობაში ისე იყო დარწმუნებული, რომ არ ეგონა თუ მკვლელობას ჩაიდენდა. გული ამოუჯდა და ხმას ველარ იღებდა. გიორგაც აცრემლდა და პირი მიიბრუნა. ბავშვებმაც ტირილი მორთეს. ვანო გიორგას ჩაჰკროდა გულში და ბღვრიალებდა. როცა ელენემ ტირილით გული იჯერა, ქმარს შეხედა.

— როგორ... როგორ დაიდე კაცის სისხლი? რად ჩაიდინე?

— ძალად ჩამადენინეს, მიმიყვანეს იქამდის... სთქვა გიორგამ და ღონე-მიხდილი ხეს მიეყრდნო. ყველანი სტიროდნენ

— ეჰ, სულ ერთია... გვიანღაა... სიჩუმის შემდეგ სთქვა გიორგამ.—ამაზე ლაპარაკი მეტია. რაც მოხდა—მოხდა... მხოლოდ მინდოდა მენახეთ. უკანასკნელად გამოგეთხოვებოდით... ვინ იცის, როდის... ჭკუით იყავით... ნუ გეშინიათ, ღმერთი მოწყალეა... გიორგის ცრემლები ახრჩობდა.

— რა გვეშველება!.. ამათ ვინ უპატრონებს?. დაიკვნესა ელენემ და შვილები გულში ჩაიკრა.

— ნუ გეშინიან, ელენე, ქვეყანაზე გულკეთილი ხალხი ბევრია... შიმშილით არ მოკვდებით. ანუგეშა გიორგიმ, მაგრამ გულში ჯოჯოხეთი უტრიალებდა. ველარ გაუძლო ამ გულშემზარავ სურათს, მოიწმინდა ცრემლები, გადაიკიდა თოფი და გაემზადა.

— აბა, დროა... არავინ მომასწროს... აკანკალების ხმით სთქვა გიორგამ და ცოლს მოეხვია, გადაჰკოცნა სათითაოდ შვილები, გადასახა პირჯვარი და ჩქარის ნაბიჯით მთას შეუდგა. ელენე გულწასული მიწაზე დავარდა.

— ბაბა, ლოდის მოხვალ? მიაძახა ატირებულმა ვანომ. გიორგი მობრუნდა, შეხედა აცრემლებულ ვანოს, აიყვანა და გულში ჩაიკრა.

— მალე... ბაბა... მალე მოვალ... პურს მოგიტან... ტირილით უთხრა გიორგამ, მიბრუნდა როსტომის ეზოსკენ და სასოწარკვეთილებით დაიგმინა:

— როსტომ ნარიმნიძე, ღმერთი იყოს შენი მსაჯული!..

—

მზე თავის სხივებს უხვად ჰფენდა ქვეყანას. ჰაერში საშინელი ბუღი იდგა. სიცხისაგან დამწვარი ფოთლები მოკუმშულიყვნენ და თავი ძირს დაეხარათ. არსად ნიავი არ იძვროდა, გიორგი აედა მთის მწვერვალზე, უკანასკნელად გადმოხედა უპატრონოდ დაყრილს მწარედ მტირალ ცოლსა და შვილებს, ცრემლები ჩაყლაპა, ერთიც ამოიოხრა და მთას მიეფარა.

ვალიკო გურული

---

*) პროპაგანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუსტავი კი მჭექარე ხმით გაჰკიოდა მებატონის ავკაცობაზე, ძალმომრეობაზე და საკანის კედლებს შესჩიოდა მის მუხანათობას. სტუმრებს აინუშშიაც არ მოსდიოდათ მისი ტანჯვა და თავდავიწყებით ეძლეოდნენ ლხინსა და მხიარულებას.

ვერც მებატონე, ვერც მისი სტუმრები ვერ ამჩნევდნენ, რომ კოშკის გარედ, გუსტავის სენაკის კედელთან, დღე-მუდამ იკრიბებოდა აუარებელი ხალხი,—გუსტავის მეგობარნი და ერთგულნი,—გაფაციცებით ისმენდნენ გუსტავის სიტყვებს, მიდიოდნენ სოფლად და მთელს ქვეყანაზე ჰყვებოდნენ მებატონის პირქუშობისა და მუხანათობის ამბავს.

დღითი-დღე გაიზარდა ხალხში გუსტავის სიყვარული და თანაგრძნობა, მებატონის მძულვარება და ზიზღი. ხალხს გონებაში აგდებდნენ, რომ ამ საზიზღარ მებატონისათვის შური ეძია, კოშკს შემორტყმოდა, დაენგრია და გაენთავისუფლებინა თავისი საყვარელი გმირი—გუსტავ დაუდეგარი.

ღამ ღამობით, მალვით მიეიდოდნენ მეგობრები გუსტავის საკანთან და ყურს უგდებდნენ. გუსტავი გრგვინავდა და სჭექდა.

— ცოცხალია, ცოცხალი, ჩვენი ბედშავი გუსტავი! ოჰ, რა კარგად ამკობს მტარვალს!—და გუსტავის გულიდან ამოხეთქილ წყევა-კრულვას თავის გულის წყრომასაც უმატებდნენ. მაგრამ ჯერ მაინც მხოლოდ აღელვებული და მუშტებმოღერებული ბრუნდებოდნენ სახლში.

მებატონე მეტად უდიერი და მკაცრი იყო. გააღებინებდა საკანის კარს, კარზე მიდგებოდა და გესლიანად ეტყოდა:

— ხომ არავინ გაწუხებს? ხომ კარგადა ხარ? გაქცევა არ გაგიზრახია?.. შენი მეგობრები... ჰა, ჰა, ჰა, რატომ... არა გშველიან?...

— იყვირე, იღრიალე, სანამ ხმა შეგწევს!.. შენი კვნესა ამ კედლებს ვერ გასცილდება!..

მებატონეს ჯაშუშმა მიახარა ხალხის თანაგრძნობა გუსტავისადმი.

— პირი აუკარით და სარკმელიც ამოუქოლეთ!..—უბრძანა მან.

ასეც მოიქცნენ.

შუაღამისას ჩვეულებისამებრ საკანს მოადნენ გუსტავის მეგობრები. სარკმელთან სამარისებური სიჩუმე იყო.

— გუსტავი სდუმს!.. ალბად, დრო დადგა, ჩვენ ამოვიღოთ ხმა!..

აზვირთდა, აბობოქრდა ხალხი. სხვა მოძმენიც მოიშველია, ალყა შემოარტყა დარბაზს, კარები შეუნგრია და გაანთავისუფლა თავისი საყვარელი გუსტავ დაუდეგარი.

მებატონე ბრძოლაში მოჰკლეს,—დაამთავრა კოშკის დარაჯმა ეს ამბავი.

პრესსა

„ნამდვილ რუს პატრიოტის" გენ. კომაროვის „პატრიოტული" გაზეთი „სვეტი" დაწვრილებით იკვლევს რუსეთში დაწყებულ სარევოლუციო მოძრაობის წყაროს. დღემდის ეს გაზეთი თავის გულუბრყვილო მკითხველებს არწმუნებდა, გაფიცვა და სარევოლუციო მოძრაობა იაპონიისა და ინგლისის ფულით ხდებაო; ახლა კი გენერალმა კომაროვმა აზრი გამოიცვალა და დარწმუნდა, რომ

> ჩვენს შინაურს არეულობას ხელოვნურად ახდენენ პეტერბურგში. ამ არეულობაში მონაწილეობას იღებენ ისეთი წრეები, რომელნიც წეს-რიგისა და არსებულ რეჟიმის დასაცავად არიან მოწვეულნიო.

არსებულ რეჟიმის დამცველი „წრეები", რასაკვირველია, მთავრობის მოხელენი უნდა იყვნენ. მაშ ისე გამოდის, ვითომ «შინაურ მტრებს»... მთავრობა ქრთამავს და თანამედროვე მოძრაობას ზნეობრივად თუ ქონებრივად ხელს უწყობს?! თურმე ნუ იტყვით, „შინაური მტრები", ქარხნებსა და სასწავლებლების გარდა, პეტერბურგის კაბინეტებსა და კანცელარიებშიაც არიან.

* *
*

კომაროვის-მიერ აღმოჩენილი „შინაური მტრები" პეტერბურგის უმაღლეს წრეებში სიმართლესა, ჰგავს. ერთ დიდ ბიუროკრატს (როგორც ამბობენ, ს. ვიტტეს) „სლოვოს" თანამშრომლისთვის უთქვამს:

> რუსეთის საქმეები უცხოელებმა უფრო კარგად იციან, ვიდრე თვითონ რუსებმა. რუსეთს შეუძლიან ომი 5 წელიწადს გააჭიანუროს და შემდეგ გაიმარჯვოს კიდეც, მაგრამ შინაურ აღელვებისა და არეულობის გამო ეს შეუძლებელია. რუსეთის მთავრობა შინაურ საქმეებს ყურადღებას არ აქცევს, ანგარიშს არ უწევს ჩემის აზრით კი, რუსეთის ახლანდელი უბედურება სულ შინაურ საქმეების ბრალია.. ყველაფერი ამ საქმეებზეა დამოკიდებული და მის გადაწყვეტის დაგვიანება ფრიად სახიფათოა! ამჟამად რუსეთი თითო საათში თითო საფეხურით იწევს ქვევით.

რუსეთის თანამედროვე მდგომარეობას სავსებით ახასიათებს უკანასკნელი ფრაზა: რუსეთი თანდათან ქვევით იწევს და თან ბიუროკრატიასაც მიათრევს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბიუროკრატია ჯიუტობს და არ უნდა იმ საფეხურიდან ჩამოსვლა, რომელზედაც ამ ერთის წლის წინად იდგა.

რუსეთი

საზღვაო სამინისტროს მმართველმა, ადმირალმა **აველანმა, სამსახურიდან გასვლა ითხოვა.** მისი თხოვნა შეწყნარებულ იქმნა (ს. ო.).

◆ ბულიგინის პროექტს საერო წარმომადგენლობის შესახებ სახელმწიფო საბჭო არ განიხილავს. **პროექტი პირდაპირ ხელმწიფეს გადაეცემა** (ს. ო.).

◆ ბულიგინის პროექტი, როგორც ამბობენ, თითქმის **სავსებით გადმოღებულია სპერანსკის პროექტიდან** საერო წარმომადგენლობის შესახებ. სპერანსკის პროექტი შედგენილი იყო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს (რ. ს.).

◆ მომავალ საერო წარმომადგენლობაში, მინისტრთა კომიტეტის ზოგიერთის წევრის აზრით, **ებრაელებმა მონაწილეობა არ უნდა მიიღონ** („ნოვოსტი").

◆ ბულიგინის პროექტით, **საერო კრებაში არჩევანი შემდეგნაირად უნდა მოხდეს**: მთელის რუსეთის მცხოვრებნი სამ ჯგუფად იქნებიან დაყოფილნი: გლეხები, მემამულენი და ქალაქელები. გლეხებს სამკეცი საარჩევნო უფლება მიენიჭებათ, მემამულეთა და ქალაქელებს კი—ორკეცი (რ. ს.).

◆ ბულიგინის პროექტის განხილვის დროს მინისტრთა კომიტეტში დიდი **კამათი ატეხა წოდებრივ არჩევნების შესახებ.** ვიტტე ამტკიცებდა, არჩევანი წოდებრივი უნდა იყოსო, ე. ი. გლეხებმა გლეხები უნდა აირჩიონ, აზნაურებმა აზნაურები და სხ.; პროექტით კი არჩევნები უწოდებო უნდა ყოფილიყო და მხოლოდ ქონებრივი ცენზი დაწესებულიყო. ეს საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა (რ. ს.).

◆ კიევის სამხედრო ოლქის უფროსი, პეტერბურგის გრადონაჩალნიკად ნამყოფი, გენ. **კლეიგელსი, ინიშნება პეტერბურგის გენ.-გუბერნატორად,** ტრეპოვის ადგილზე, რომელიც პოლიციის მინისტრად დაინიშნა (ს. ო).

◆ 31 მაისს დვინსკში გაარჩიეს საქმე ახალგაზდა მუშის დეიჩისა, რომელსაც ბოქაულის ტემინის მოკვლა უნდოდა. **დეიჩს ჩამოღრჩობა გადაუწყვიტეს.** სასამართლომ საჭიროდ არ სცნო უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ დეიჩს სასჯელი შეუმცირდეს. დეიჩი 19 წლისაა (ს. ო.).

◆ მთავრობამ ნაფიცი ვექილები ბერენშტამი და ვინავერი სამართალში მისცა იმისთვის, რომ ისინი ვექილთა კავშირში ირიცხებიან. ამის გამო ვექილთა კავშირს (2000 მდე კაცია) გადაუწყვეტია, პროკურორს ვთხოვოთ, რომ **ჩვენც სამართალში მიგვცეს,** რადგან ჩვენც ამ კავშირში ვირიცხებითო. თუ კავშირს მიზნად ბოროტი განზრახვა აქვს, ჩვენც ვაპირობთ ამ განზრახვის შესრულებას და, მაშასადამე, სასჯელის ღირსი ვართო (რ.).

◆ პუტილოვის ქარხნის დირექტორმა **სმირნოვმა,** რომელმაც იანვარში სახელი გაითქვა, **სამსახურს თავი დაანება** (ს. ო.).

◆ **პრესსის თავისუფლება.** „პოლტავშჩინა"-ს მე-139 ნომერში, პრესსის განყოფილებაში, სწერია: «სლოვო» სწერს პოლიციის მინისტრისადმი უქაზის შესახებ"... რასა სწერს „სლოვო" უქაზის შესახებ, მკითხველებმა ვერ გაიგეს, რადგან ამ სიტყვებს მთელი სვეტი ცარიელი ადგილი მოსდევს, სადაც სწერია: „გაზეთი „პოლტავშჩინა" წლის დამლევამდე ღირს 4 მანათად" (რ. ვ.).

„სევ. კრაი"-ს მე-140 ნომერში სწერია: «ტექსტს» ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო განცხადებებით ვავსებთ». ამ ნომრის მეთაური განცხადებებით თავდება და სხვა წერილებიც განცხადებებით იწყება (რ. ვ.).

„ჩერნომ. პობერეჟიე"-ს თითქმის ყოველი ნომერი ცარიელ ადგილებითა და განცხადებებით არის აჭრელებული (რ. ვ.).

◆ 2 ივნისს ტომსკში უბნის ზედამხედველი **კოჟიჩი მოჰკლეს.** კოჟიჩს 16 ჭრილობა აღმოაჩნდა (ნ.).

◆ 27 მაისს დონის როსტოვში შემდეგი ამბავი მოხდა: ამ დღეს საბჭოში 200 მუშა მივიდა. ერთმა მათგანმა სიტყვა ითხოვა და, თუმცა ნებართვა არ მიიღო, მაგრამ მაინც დაიწყო ლაპარაკი ბიუროკრატიასა და ომის შესახებ. შემდეგ მეორე მუშა წამოდგა და სთქვა: „ამხანაგებო! **ქალაქის თავმა,** იმის მაგივრად, რომ ჩვენი საჭიროებანი მოისმინოს, **პოლიცია მოიწვია.** გთხოვთ, ამხანაგებო, ქალაქის თავს თქვენი ზიზღი გამოუცხადოთ. მცირე შეტაკების შემდეგ, კრება დაიხურა. ქალაქის თავი სამსახურიდან გადადგა. (ნ. ქ.).

◆ დონის როსტოვიდან აუარებელი **ხალხი მირბის საზღვარ-გარედ** (რ. ს.).

◆ სასამართლომ მაქსიმ გორკის საქმე მოსპო. ამჟამად **გორკი** ფინლიანდიაში ცხოვრობს და ძლიერ ავად არის ჰლექით (რ. ს).

◆ კავშირთა კავშირში ჩაეწერა ჯერ-ჯერობით 27 **ათასამდე წევრი.** ყველაზე მეტი წევრი რკინის გზაზე მოსამსახურეთა კავშირს ჰყოლია (6000), მეორე—ებრაელთა (5000) და სხ. (რ.).

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება

(9 მაისი)

წაკითხულ იქმნა წინა დღის სხდომის ოქმები. თავ. ი. თარხნიშვილი თხოულობდა ოქმის შესწორებას. ოქმში არა სწერია, რომ გორის მაზრის საზოგადოება ფულს სესხად თხოულობს და ბანკს თავდებად უდგებოდა. თუ, ვინიცობაა, სინდიკატი ვერ მოახერხებდა ამ ფულის დაბრუნებას, გადიხდიდა გორის მაზრის საზოგადოება, რომელიც შეადგენს 1,200 ოჯახს. საწყენია, დიდად საწყენი, რომ თავად-აზნაურთა ერთმა ნაწილმა სთხოვა სესხად თავის მოძმეებს 30,000 მანათი და ამაზე უარი მიიღო. გ. გაბაშვილი, მე არა ვფარავ, რომ გუშინ ყუთში შავი კენჭი ჩავაგდე. იმიტომ ჩავაგდე, რომ სინდიკატის დასახმარებლად დანიშნული იყო 30,000 მ. მე ეს ფული დიდად მეჩვენა, ნაკლები რომ ყოფილიყო, მაგ., 10,000, ან 15,000, მაშინ მე თეთრს კენჭს ჩავაგდებდი. მე წინადადებას ვაძლევ კრებას, ხომ არ მოისურვებს ამ საკითხს მეორედ უყაროთ კენჭი და დაუნიშნოთ დასახმარებლად ნაკლები თანხა. თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი. გუშინ მე დახმარების უარზე არ ვიყავ*). მე ვუერთდები გ. გაბაშვილის წინადადებას და ვთხოულობ, რომ ფულის შემცირებით ამ საკითხს ხელ-მეორედ ვუყაროთ კენჭი... ამ წინადადებისა ბევრია წინააღმდეგი. იმ აზრისანი არიან, რომ ეს საკითხი გუშინ გადაწყდა. კრებამ უარჰყო იგი, დღეს ახალი საკითხი წამოაყენეს, ამგვარად შეიძლება ამ საგანს კენჭი დაუსრულებლად უყაროთ, შეგვიძლიან ამ ფულს თითო მანათობით ვკლოთ და ყოველს შემთხვევაში ყუთი ვუდგათო. ყუთის მეორედ დადგმის მომხრენი ამტკიცებდნენ, რომ ეს საკითხი პრინციპიალურად არ გარდაწყვეტილა, კრებამ კენჭის ყრით უარჰყო მხოლოდ ფულის რაოდენობა და არა დახმარება, კრებამ 30,000 მან. დახმარება არ მიიღო, შეიძლება 10,000 მიიღოსო.

კნ. ტატიშვილი. ბატონებო, ეს ისეთი საგანია, რომ აგრე მტრულად, ან გულგრილად რომ მოვექცეთ ამ საქმეს, სხვა რომ არა იყოს-რა, ცოდვაა. არ იცნობთ, ბატონებო, ამ დაწესებულებას, თორემ მის დახმარებაზე გუშინ უარს არ იტყოდით. გუშინ აქ ამბობდნენ, გორის სინდიკატი სავაჭრო დაწესებულებაა და ამიტომ სამეურნეო თანხიდან ფულს ვერ მივცემთო. როგორი სავაჭრო დაწესებულებაა ეს სინდიკატი, ამობრძანდით ქართლში და გლეხებისა ჰკითხეთ. სანამ ამ ამხანაგობას შევადგენდით, მთელი გორის მაზრა ჩარჩების ხელში იყო ჩავარდნილი. ჩარჩები დადიოდნენ სოფლებში და იკვეთავდნენ ფუთს ხორს—30 კაპ., ქერს—25 კ., თივას—15 კ., ახლა კი ფუთსა ვყიდით: ხორს—75 კაპ., ქერს—60 კ., თივას—35 კ. ბზესა ვყიდით, გადასაყრელში კიდევ ფულს ვაძლევდით; ახლა კი ფუთს 12 კაპ. ვყიდით. 200 სოფელი ახვევია ამ სინდიკატს და 200 სოფელმა სული მოიდგა, ურიები და სომეხ-ჩარჩები კი გაკოტრდნენ. გლეხკაცი ლოცულობს ამ სინდიკატზე, ბევრი მათგანი წევრებათ ჩაეწერა, წლითიწლობამდე მიაქვს იქიდან რაც კი მისთვის საჭიროა ნისიად უსარგებლოდ და იმ ფასებით, რაც ფასები ტფილისშია. ამას გარდა, ბევრი სხვაგვარი სარგებლობა მოგვიტანა ამ სინდიკატმა და ჭკუა გვასწავლა ისე, რომ შემდეგში შეცდომა აღარ მოგვივა. ერთს წელიწადს ჩვენ ინტენდანტისთვის უნდა ჩაგვებარებინა 100 ათასი ფუთი ხორა, ვიყიდეთ მოტორი, მივეცით 3,000 მანათი, გადავარჩიეთ ხორბალი და დაგვრჩა 10 ათასი ფუთი გორგლა. ეს გორგლა გავყიდეთ ფუთი ერთ შაურად, ახლა კი მისი სარგებლობა გავიგეთ და ფუთს ვყიდით აბაზად, მაშინ ზარალი მოგვივიდა, ახლა აღარ მოგვივა. ექიმა გედევანიშვილი ხალხში ამბობს, თავად-აზნაურობა არვარგა, გლეხ-კაცებს სისხლსა სწოვენ, ჩვენა ვართ, რაცა ვართო. აქ კი ჩვენ ვცდილობთ გლეხ-კაცებს დავეხმაროთ, სული ჩავუდგათ, მივსცეთ საშუალება თავიანთი ნაწარმოები კარგს ფასებში გაჰყიდონ, ჩარჩებს ხელში არ ჩაუვარდნენ. ბ. გედევანიშვილს კი უნდა ეს საწყალი გლეხ-კაცობას ხელიდან გამოაცალოს და ისევ ჩარჩებს მისცეს ხელში. გთხოვთ, ამ საკითხს ხელმეორედ უყაროთ კენჭი, ექ. გ გაბაშვილი. რაზე ლაპარაკობთ, არ მესმის. გუშინ მოვითხოვე, რომ ამ საკითხს ორი უთი დაუდგეს, [illegible] მან. მეორე 10,000 მან. თქვენ კენჭი უყარეთ [illegible],000 მან. ახლა მე ვთხოულობ, რომ კენჭი უყაროთ 10,000 მან. ეს არის ჩემი უფლება და ამას ვთხოულობ კიდეც.. დიდის კამათის შემდეგ, ამ საკითხს ყუთი დაუდგეს: მიეცეს სამეურნეო თანხიდან გორის სინდიკატს სესხად თავდებ ქვეშ 10 ათასი მანათი სარგებლით, რომელსაც დაუნიშნავს დეპუტატთა საკრებულო. კრებამ 47 ხმის უმეტესობით 27 წინააღმდეგ ეს წინადადება მიიღო.

ექ. გ. გაბაშვილი. როგორც ვიცი, გლეხთა მოძრაობის გამო ქართლში ბევრი თავად-აზნაურიშვილი დაზარალდა. ეს გარემოება დაკავშირებულია სამეურნეო თანხის განაწილების საკითხთან. მე მგონი, რომ კრებამ უნდა დახმარება გაუწიოს ამ დაზარალებულთ თავმჯდომარე. მაგ საგნის შესახებ დეპუტატთა საკრებულოში არის შემოტანილი თხოვნა თავად აზნაურთა ერთი ჯგუფისა. ექ. გ. გაბაშვილი თხოულობს ამ თხოვნის წაკითხვას. თავ. დ. ჯორჯაძე, ს. რ. ვახვახიშვილი მ. გედევანიშვილი და სხვები თხოულობენ, რომ პირველად განხილულ იქმნას უმთავრესი საგნები: სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა (სმეტა), რა უნდა მიეცეს სათავად-აზნაურო და სხვა სასწავლებლებს, სტიპენდიანტებს და სხვა. შემდეგ კი გადავიდნენ ამ საკითხზე, რადგან, შეიძლება, ეს ფული ისე დარიგდეს, რომ ბოლოს კრება არა სასურველ მდგომარეობაში ჩავარდეს იმით, რომ ფული აღარ ეყოს. ამაზე უპასუხებენ, რომ, ჯერ ერთი, ეს არის სამეურნეო თანხა და ეს ფული მხოლოდ სამეურნეო საჭიროებათ უნდა მოხმარდეს; მეორეც ისა, კრებამ გადასწყვიტა პირველად სამეურნეო თანხის სარგებლის განაწილება, ორი საკითხი უკვე განვიხილეთ, დარჩა მესამე საკითხი, რომელიც ამასთანაა დაკავშირებული, და ამიტომ ჯერ ეს საგანი უნდა გათავდესო. მოწინააღმდეგენი ამ მოსაზრებებს არ ეთანხმებიან. თავმჯდომარე კითხულობს გორის მაზრის თავად-აზნაურთა ერთი ჯგუფის თხოვნას, რომლებიც თხოულობენ გლეხთა მოძრაობის გამო დაზარალდით და დაცემულ მეურნეობის აღსადგენად 20 ათასი მანათი გვასესხეთო. ისმის ხმები: ვინ თხოულობს, წაიკითხეთ, ვინ აწერს ხელს. ჰკითხულობენ ხელის მომწერელთა გვარებს. მ. გედევანიშვილი თხოულობს ყველა შუამდგომლობათა წაკითხვას. თავმჯდომარე უპასუხებს, არის რამდენიმე თხოვნა დუშეთის მაზრის რამდენისამე კერძო პირისაო.

თავ. ჯორჯაძე. თელავის მაზრის თავად-აზნაურთა მონდობილობით, მე ვთხოულობ 40,000 მან. გთხოვთ, განიხილოთ ეს თხოვნა! გ. ვ. მაჩაბელი. ის განცხადება, ვითომ-და თელავის მაზრის თავად-აზნაურთა რწმუნებულისა, დასაბუთებული არ არის. ჩვენ ვართ დაზარალებულნი, თელავის მაზრის თავად-აზნაურნი კი არა და, თუ ახლა ფულს თხოულობენ, მარტო იმიტომ, რომ ჩვენ ხელი შეგვიშალონ! სირცხვილია, ბატონებო, სირცხვილი!—თელავის მაზრის წინამძღოლი თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. „აქ შეურაცხჰყვეს თელავის მაზრის თავად-აზნაურობა, მე ერთი ამ თავად-აზნაურთაგანი ვარ და ეს შეურაცხყოფა მეც შემეხება". ამ სიტყვებით თავ. ჩოლოყაშვილი კრებას თავს უკრავს და კრებიდან გადის. მის მაგალითს მისდევენ ბევრნი სხვანიც. საზოგადოება ხმაურობით წამოიშალა და კრება დღეისთვის გადაიდო.

---

*) გუშინ ჩვენს ანგარიშში შეცდომით გვქონდა მოხსენებული, რომ თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი დახმარების უარზე იყო. თავ. ჩოლოყაშვილი ამბობდა—ფულით დავეხმაროთ, მაგრამ ამ საზოგადოებას თავდები მოვთხოვოთ.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! თქვენის გაზეთის საშუალებით ნება გვიბოძეთ გამოვაცხადოთ მკითხველთა საყურადღებოდ ის პირობები, რომლებზედაც დავეთანხმეთ გლეხებს დაჩამოვაგდეთ კეთილი განწყობილება გლეხებთან ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერ თავადებმა. ეს პირობები არის შემდეგი:

1. მიეცეთ გლეხებს ნადელები სრულ საკუთრებად.

2. თავადების საკუთარ სახნავ მამულებზე, რომელსაც გლეხი თავადის ნებაყოფლობით შეიმუშავებს, მიწის შემმუშავებელს გამოერთვას ძალად მეათედი შემოსავლისა;

3. გლეხებს შეეძლოთ თავისუფლად სარგებლობა ქვიშით, ქვითა და ნარიყითა;

4. საძოვრები იყვეს საქონლისათვის უსასყიდლოდ.

5. გლეხებს ნება ჰქონდეთ ტყიდან უფასოდ გამოზიდონ მასალა თავის სახლის საჭიროებისათვის.

თ. ვასილ მიხეილის ძე მაჩაბელი, თ. სვიმონ მაჩაბელი, თ. კონსტანტინე ზურაბის ძე მაჩაბელი, თ. გიორგი ვასილის ძე მაჩაბელი, თ. ივანე ზურაბის ძე მაჩაბელი, აზ. ნიკოლოზ მიხეილის ძე ბრძოლი.

ვთხოვთ „ცნობის ფურცლის" რედაქციას, გადაბეჭდოს ეს წერილი თავის გაზეთში.

ს. თამარაშენი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

9 ივნისი.

ტოკიო. ოფიციალურად იუწყებიან, ვეიუანპუმინის მხარეს იაპონელებმა ლანვანჩუ დაიჭირეს; 6 ივნისს ვეიუანპუმინის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ოცი მილის მანძილზე, იაპონელებმა დაიჭირეს იანმუნდპინძი და რუსები გირინის გზისაკენ გააძევეს. მეორე რაზმმა რუსებს იანზოლინის ბანაკები აუშალა, ვეიუხანპუმინის ჩრდილოეთად, ათი მილის მოშორებით, და მაღლობები დაიჭირა შახავოძის ჩრდილო-დასავლეთად. რუსებმა ბანაკები აიშალეს იანზოლინის ჩრდილოეთად და ჩრდილო-აღმოსავლეთად. ჩანტუს მხარეს იაპონელებმა წინ წაიწიეს რკინის გზის გასწვრივ. რუსის კავალერიამ, რომელიც დაბანაკებული იყო მაღლობებზე, ჩრდილოეთად ორის მილის მანძილზე, უკან დაიწია. იაპონელებმა დაიჭირეს მაღლობები სუმიაოთცის სამხრეთად, ჩანტუს ჩრდილო-აღმოსავლეთად, თერამეტის მილის სიშორეზე. სადგური დანგრეული დახვდათ. იაპონელების დანაკარგი ხუთი დაჭრილია, რუსებს ათი მოკლული დაუტოვებიათ, მათ შორის, ერთი აფიცერია. იაპონელებმა ჩაიგდეს ერთი ტყვეის მფრქვეველი და ცხენი.—იაპონელების რაზმმა ჩრდილო კორეიაში 7 ივნისს კანგსონგი აიღო. რუსების რამდენიმე ათასი მეომარი არტილერიით ჩრდილოეთისკენ გაემართა.

ლონდონი, 8 ივნისი. სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, დღემდე არც რუსეთსა და არც იაპონიას არ ჩამოუგდია ლაპარაკი დრებით ზავის დადების შესახებ. გაზეთებში დაბეჭდილი ცნობები ამის შესახებ სიმართლეს მოკლებულია.

გუნჯულინი, 7 ივნისი. მთელს შუბლზე უკანა ჯარის ბრძოლაა, რომელიც რუსთა მარჯვენა ფრთეზე დაიწყო.

გარდაიცვალა გაზეთ „რუსკოე სლოვო"-სა და „ნოვ. ვრემია"-ს სამხედრო კორესპონდენტი პოლკოვნიკი ლოდიჟენსკი.

ტოკიო, 8 ივნისი. იაპონელებმა აიღეს კიონსიანი, რომელიც თვალ-საჩინო პოზიციაა მდ. ტუმენზე, კორეის საზღვარზე.

ტოკიო, 8 ივნისი. შუბლის ჯარიდან მიღებულ ცნობათა თანახმად, საქმეთა მდგომარეობა ასეთია: ლინევიჩს გაუკვირდა, როდესაც გაიგო, რომ იაპონელთა ლაშქარი მარჯვნივ და მარცხნივ გაიშალა, და ამიტომ უბრძანა მიშჩენკოს, შენის კაზაკებით იერიში მიიმატე, იაპონელთა ცალკე-ცალკე პოზიციებზე, რომ მტერზე ისეთი შთაბეჭდილება მოვახდინოთ, ვითომ, სატევი მოქმედება ჩვენ დავიწყეთო. ამისათვის ხან თითო ბრიგადა მიჰყავდათ და ხან თითო ასეული ქვეითების და ცხენოსნების. რუსებმ დიდ მანძილზე დაიწყეს დაზვერვა, მაგრამ იაპონელები მაინც ვერ მოატყუილეს და ვერ გაიგეს მათი განზრახვა. მიშჩენკოს დიდი ზიანი მოუვიდა. მონგოლიის ტერიტორია გაიარა, იქ შეიძინა სურსათ-სანოვაგე და დაიქირავა ჩინელი ჯაშუშები, რომელნიც მტრის ადგილების დასაზვერად გაჰგზავნა. მიშჩენკოს საჭირო ცნობა მოუვიდა, გაეხარდა და გაემართა იაპონელთა მარცხენა ფრთეის განაპირად, რომ იაპონელთათვის გზა მოეჭრა და მათი ჯარები ჩრდილოეთიდან განედევნა.

ლინევიჩს ჰგონია, იაპონელები შემდეგს ბრძოლაში ეცდებიან, რომ ვლადივოსტოკის გზა სრულიად მოსჭრან, და გადასწყვიტა ხარბინის დაცვა, რადაც უნდა დასჯდომოდა. მას შემდეგ, რაც ხარბინში მაშველი ჯარი მოვიდა, მდ. სუნგარზე, ჩანტუნსა და გირინის გზაზე დღე და ღამ განუწყვეტლივ მუშაობენ და მტრის მოსაგერებელ სიმაგრეებს აგებენ. გარდა ამისა, მიწაში აუარებელ ფუგასებს (ნაღმებს) აწყობენ.

საერთო რიცხვი ზღვაზე მომხდარ ბრძოლაში დატყვევებულთა უდრის 7,282, მათ რიცხვში 415 აფიცერია.

ტოკიო, 9 ივნისი იაპონელთა რაზმმა საბოლოოდ აიღო კანსუნი.

ბერლინი, 8 ივნისი. აქაური პრესსა გაცხოველებით მსჯელობს ერობისა და საქალაქო მოღვაწეთა დეპუტაციაზე, რომელიც ხელმწიფემ მიიღო. „ბერლინერ ტაგებლატი" არა... „ბედნიშე ცაიტუნგი" ამბობს: დეპუტაციის მიღებას უფრო დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე წარმოთქმულ სიტყვებსაო, რუსეთის ხალხმა დიდი ნაბიჯი წარსდგათ წინ. „კრეიც-ცაიტუნგი" ამბობს: გერმანიაც დაინტერესებულია იმაში, რომ რუსეთი შეერთდეს და მეფის ტახტსა და ხალხს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდესო.

ლონდონი, 8 ივნისი (რეიტერი). საზოგადოებათა პალატაში ბროდრიკმა განაცხადა, ინდოეთის შემოსავალმა უკანასკნელ საფინანსო წელს ყველა წინა წლებს გადააჭარბა, თუმცა სამხედრო ხარჯები 2.400,000 გირვ. სტერლინგით მეტი იყო წინა წლებთან შედარებით. კიტჩენერის გეგმით, ინდოეთის მშვიდობიანობის დროს ცხრა დივიზია. ლაშქარი გაძლიერდება 80,000-იდან 140,000-მდე, დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარების თავმოყრის წესრიგის შეცვლას, რომ დაუახლოვონ ჩრდილ-დასავლეთის საზღვრებს. ავღანისტანთან მოლაპარაკებას ორი აზრი ჰქონდა—განსვენებულ ემირის-მიერ ინგლისთან დადებულ შეთანხმების განახლება და მრავალ მეორეხარისხოვან საქმეთა გადაწყვეტის სურვილი. პირველი აზრი უკვე განხორციელებულია, ხოლო მეორეს ახლა იხილავენ და ეცნობიან ორთავე მხრის წარმომადგენელნი.

სიმფეროპოლი, 8 ივნისი. საგუბერნიო საერობო კრებამ მიიღო დანიშნულებისამებრ გარდასაცემად ქალაქის პეტიცია. ქალები თხოულობდნენ არჩევნებში მამაკაცებთან უფლებათა გათანასწორებას.

ყაზანი, 8 ივნისი. ქალაქის მოურავმა საბჭოს კრებას აუწყა, მოსკოვში ქალაქის მოურავთა და საერობო მოღვაწეთა თათბირზე მისი მოგზაურობა. საბჭომ დაადგინა, შესდგეს კომისია საზოგადო საქმეთა განსახილველად 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანებისა და 18 თებერვლის რესკრიპტის თანახმად და ამოირჩიოს წარმომადგენელი მოსკოვში ქალაქის მოურავთა კერძო თათბირზე დასასწრებლად.

სტამბოლი. რადგანაც პორტამ ჯერაც არ უპასუხა, ელჩები საერთო ნოტას ადგენენ და თხოულობენ, მაკედონიაში შემოღებულ იქმნას საერთაშორისო საფინანსო კონტროლი. რამდენისამე დღის შემდეგ პორტას ჩააბარებენ კიდეც ნოტას.

ლოძი. ხმა გავრცელდა, გლეხებს ნება აქვთ სახაზინო ტყეების კაფვისა და საქონლის უფასოდ ძოვებისაო. ამიტომ გლეხებმა თავი შეიყარეს ტომაშოვისა და სპალის მიდამოებში და მოინდომეს ტყის გაკაფვა, ამასთანავე ემუქრებოდნენ გამგებს, რომელნიც წინააღმდეგობას უწევდნენ. ჯარის შემწეობით წესიერება აღდგენილ იქმნა.

პასუხისმგებელი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 7 ივნისი.

სამ-თვიან თამასუქების კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	94,25
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,80
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,67,5
ბირჟის დისკონტი	5,5—6,75%
4% სახელმწიფო რენტა	87,25
4⁰⁰-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ. . .	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	401
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ. .	303
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ. . . .	269,25
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ. . . .	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . .	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა . . .	—
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა . .	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	195,5
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი . . .	10300

განცხადებანი

ხუთი ახალი წიგნი
წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოცემა
სამშობლოსათვის თავდადებულნი. . 40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში . 20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა . 20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი . . . 10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა. 20
დარბაზის კედლებზე მოსართავი სურათები:
შოთა რუსთველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 40 კ., რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.
და სხვა ყოველგვარი წიგნები.
მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა".
სოსიკო მერკვილაძე. (20—4)

საჭირო და ყოველთვის სახმარებელი
უცხო სიტყვათა ლექსიკონი,
შედგ. ი. იმედაშვილის-მიერ. ფ. უყდოთ 1 მ. ყდით 1—50.
Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 9 іюня 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა", ფრეილინის ქ., № 5.